პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 13 ნოემბერი, 1942 წ. № 269 (6585). ფასი 15 კაპ.

ჩვენ ვაწარმოებთ დიდ განმათავისუფლებელ ომს. ჩვენ ვაწარმოებთ მას არა მარტონი, არამედ ჩვენს მოკავშირეებთან ერთად. მას ჩვენთვის მოაქვს გამარჯვება კაცობრიობის საზიზღარ მტრებზე, გერმანელ ფაშისტ იმპერიალისტებზე.

**ი. სტალინი**

## სტალინის მოხსენების პასუხად გმირულად ვიბრძოლოთ და ვიმუშაოთ

მოსკოვიდან, კრემლიდან მთელი მოწინავე პროგრესიული კაცობრიობა ისმენდა 6 ნოემბერს ამხანაგ **სტალინის** ისტორიულ მოხსენებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის შესახებ. ბელადს უსმენდა მთელი საბჭოთა ხალხი. და როგორც მარშან, ჩვენი სამშობლოს უმძიმესი განსაცდელის დღეებში, დიდი სტალინის ბრძნული მოხსენების ყოველმა სიტყვამ ვერაგ მტერზე გამარჯვების ღრმა რწმენა კიდევ უფრო გაუძლიერა საბჭოთა ადამიანებს ფრონტზე და ზურგში. მან ახალი ძალები, ახალი ენერგია შეგვმატა, მოგვიწოდა ახალი საგმირო საქმეებისათვის სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად. სამამულო ომის მრისხანე ქექა-ქუხილში დიდი სტალინის სიტყვა მძლავრ ხმად გაისმა, რომელმაც მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხებს ახალი ძალა შემატა ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში და მოგვცა გენიალური, ღრმა ანალიზი იმისა, თუ რატომ არის გარდუვალი გერმანელ ფაშისტ ავაზაკთა სრული განადგურება.

შეაჯამა რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეოთხედი საუკუნის შედეგები, ამხანაგმა სტალინმა განსაზღვრა ჩვენი ამოცანები. ეს არის ჰიტლერული სახელმწიფოს და მის სულისჩამდგმელთა მოსპობა, ჰიტლერული არმიისა და მის ხელმძღვანელთა მოსპობა, დანგრევა საზიზღარი „ახალი წესრიგისა ევროპაში“ და მის მშენებელთა დასჯა. ამ დიდ ამოცანებს მოკავშირეებთან ერთად შეასრულებს საბჭოთა ხალხი, რომელსაც **ლენინ-სტალინის** პარტია ხელმძღვანელობს, ხალხი, რომელსაც ჰყავს გმირი წითელი არმია, დიდი ოქტომბრის პირმშო და მის მონაპოვართა ძლევამოსილი დამცველი.

გიგანტურ ძალად აღსდგა მთელი საბჭოთა ხალხი ფრონტის დასახმარებლად. ჩვენს ქვეყანაში ზურგი გადაიქცა ფოლადის კედლად, რომელიც განუწყვეტლად ამაგრებს და განამტკიცებს წითელი არმიის ძალას. ფრონტისა და ზურგის ამ რკინისებურმა ერთიანობამ საბრძოლო გამოხატულება ჰპოვა ლენინგრადისა და სევასტოპოლის, მოსკოვისა და სტალინგრადის ლეგენდარულ დაცვაში. „უნდა ვაღიაროთ, — სთქვა ამხანაგმა სტალინმა,—რომ ჩვენს ქვეყანას ასეთი მტკიცე და ორგანიზებული ზურგი ჯერ კიდევ არასოდეს არა ჰქონია“. სამამულო ომის დიდ ქარიშხალში დღითიდღე მტკიცდება წითელი არმიის შეტევითი ძალა, ასევე მტკიცდება მისი ზურგი.

მილიონობით საბჭოთა ადამიანები ხალხმრავალ მიტინგებსა და კრებებზე გაეცნენ ამხანაგ სტალინის მოხსენებასა და ბრძანებას. ისინი გულდასმით სწავლობენ, ღრმად უფიქრდებიან ამ ისტორიული დოკუმენტების ყოველ სიტყვას, და ამბობენ: ბელადის მოხსენება ჩვენ ახალ ძალას, ახალ ენერგიას გვმატებს. იგი მოგვიწოდებს ფრონტზე და ზურგში ახალი საგმირო საქმეებისათვის.

— მტერი რომ განადგურდეს, საჭიროა ვიბრძოლოთ ისე, როგორც დიდი სტალინი გვასწავლის, — ამბობს წითელი არმიის მებრძოლი.

— მტერი რომ განადგურდეს, საჭიროა ვიმუშაოთ ომიანობის დროის ტემპებით, ისე, როგორც დიდი სტალინი გვასწავლის,—ამბობს ზურგის მუშაკი.

ამიტომ არის, რომ ბელადის მოხსენების პასუხად ფრონტზე მებრძოლებმა დაიფიცეს კიდევ უფრო ძლიერად, კიდევ უფრო გამანადგურებლად ურტყან გერმანელ ფაშისტ ავაზაკთა ჯარებს, დააჩქარონ ვერაგი მტრის სრული განადგურება. ზურგში მომუშავე საბჭოთა ადამიანებმა დაიფიცეს კიდევ უფრო გააძლიერონ ფრონტისადმი დახმარება, გამოუშვან მეტი საბრძოლო იარაღები, მეტი პროდუქცია, დაამზადონ მეტი ნედლეული მრეწველობისათვის.

მთელი ქართველი ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა და ახალი პატრიოტული საქმეებით უპასუხებს მშობლიური დიდი სტალინის ისტორიულ მოხსენებას. ახალი ძალით ჩაღდება სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება ფრონტის დასახმარებლად. ფაბრიკების, ქარხნების, მაღაროების, შახტების, დაწესებულებათა კოლექტივებმა ახალი დამატებითი ვალდებულებები იკისრეს. ბელადის მოხსენების პასუხად ასევე ახალ ვალდებულებებს კისრულობენ სოციალისტური სოფლის ადამიანები. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია იბრძვიან ერთი აზრით და ფიქრით გამსჭვალულნი — ყველაფერი გააკეთონ ამხანაგ სტალინის მიერ დასახულ ისტორიულ ამოცანათა წარმატებით შესასრულებლად.

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში ამხ. ბერუაშვილის კომკავშირულმა ბრიგადამ ბელადის მოხსენების პასუხად იკისრა საწარმოო დავალებები ნაცვლად 300-350 პროცენტისა შეასრულოს არანაკლებ, ვიდრე 500 პროცენტით. ტყიბულის ლენინის მაღაროს მჭვირთავმა მირონ ალიოხინმა 8 ნოემბერს მიტინგზე ვალდებულება აიღო ნორმა 250 პროცენტით შეესრულებინა. იმავე დღეს მან ღამის ცვლაში იმუშავა და 17 ტონის ნაცვლად 50 ტონა ქვანახშირი მოანგრია. თბილისის საორთქლმავლო დეპოს ორდენოსანმა ბრიგადირმა შ. ხიზანიშვილმა იკისრა ყოველთვიურად გეგმის გადამეტებით შეკეთებიდან გამოუშვას 5 ორთქლმავალი და 5 საათით შეამციროს თითოეული ორთქლმავლის დგომა. ულიანოვკის მტს-ის ტრაქტორისტმა სოფიო უსეინაშვილმა განაცხადა, რომ იგი სამი ჰექტარის ნაცვლად ოთხ ჰექტარს მოხნავს და გაწევს საწვავი მასალის მნიშვნელოვან ეკონომიას. ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზემოჯვარცხმის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში კოლმეურნე ბრიგადირებმა პ. ცინცაძემ, ე. ბერძენიშვილმა, ნ. მეგრელიშვილმა იკისრეს გეგმები 180 პროცენტით შეასრულონ.

მთელი ქართველი ხალხი დიდ პატრიოტულ აღმავლობას განიცდის. მშობლიური ბელადის ბრძნულმა მოხსენებამ სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად და მტერთა თავზარდასაცემად ახალი სასახელო საქმეებისათვის ააძგერა თითოეული პატრიოტის გული. მეცნიერების მთელი ძლიერება—მტრის წინააღმდეგ! —ამბობენ მეცნიერების მოღვაწენი. საბჭოთა ხელოვნება და ლიტერატურა სოციალისტური სამშობლოს დაცვის იდეას ემსახურება კიდევ უფრო მეტი ძალით,—ბელადის მოხსენებამ ჩვენი ცხოვრებისა და ბრძოლის ყოველ დარგში მოქმედების დიადი პროგრამა გადაგვიშალა.

საბჭოთა ადამიანებმა ღირსეულად, პატრიოტის მთელი მგზნებარებით უნდა შეასრულონ საყვარელი ბელადის მოხსენებისა და ბრძანების პასუხად აღებული ვალდებულებები. ამ ისტორიული დოკუმენტების გულდასმით და ღრმად შესწავლა ჩვენ ახალ ძალას, ახალ ენერგიას გვმატებს. ისინი მოგვიწოდებენ წინ, გამარჯვების ნათელი გზისაკენ და გვიახლოვებენ ჰიტლერელ ავაზაკთა სრული განადგურების ჟამს.

## იუგოსლავიის პრემიერ-მინისტრ ბ-ნ იოვანოვიჩის დეპეშა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ი. ბ. სტალინისადმი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დღევანდელი დღესასწაულის გამო პატივი მაქვს გულითადი მოლოცვა გიძღვნათ თქვენ, როგორც იუგოსლავიის მთავრობის მეთაურმა და სამხედრო მინისტრის მოადგილემ. საბჭოთა არმიების გმირული წინააღმდეგობა ყველა ჩვენგანს აღტაცებითა და იმის რწმენით აღავსებს, რომ ჩვენი საერთო მტერი მალე განადგურებულ იქნება.

**სლობოდან იოვანოვიჩი**

მოსკოვი, კრემლი

## იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავის გამო უდიდესი კმაყოფილებით გიძღვნით თქვენ გულითად მოლოცვას სსრ კავშირის მუსლიმანთა სახელით. მუსლიმანთა სამყარო თქვენ გიცნობთ, როგორც ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლებისათვის მებრძოლს და გულისხმიერს ხალხების საჭიროებისადმი.

ვევედრები ალაჰს და გულწრფელად ვისურვებ მტრის ადრე და მალე დამარცხებას, გერმანელი ფაშისტების ტირანიისაგან მთელი კაცობრიობისა და მუსლიმანური სამყაროს განთავისუფლებას თქვენი ხელმძღვანელობით.

ალაჰი იყოს თქვენი შემწე და ძლევამოსილად დაგვმთავრებინოთ თქვენი სახელოვანი მუშაობა ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლებისათვის.

ამინ.

მუსლიმანთა ცენტრალური სასულიერო სამმართველოს მუფთი
**აბდურაჰმან რასულევი**

## სსრ კავშირთან სოლიდარობის მიტინგები ამერიკის შეერთებულ შტატებში ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავთან დაკავშირებით

**ნიუ-იორკი,** 12 ნოემბერი (საკდესი). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების მთელ რიგ ქალაქებში მასობრივი მიტინგები გაიმართა. ლოსანჟელოსში მოწვეულ იქნა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მეგობრობის ორდღიანი კონფერენცია, რომელიც დამთავრდა მასობრივი მიტინგით, რასაც დაესწრო 5.000 კაცი. მიტინგმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც აღტაცებას გამოსთქვამს საბჭოთა ხალხების ბრძოლით საერთო საქმისათვის და სიტყვას იძლევა, რომ უზრუნველჰყოფს „თანამოაზრეთა ძმობას იმ საყოველთაო მშვიდობიანობისათვის ბრძოლაში, რაც მოჰყვება მტერზე გადამწყვეტ გამარჯვებას“.

მასობრივი მიტინგი გაიმართა აგრეთვე სან-ფრანცისკოში, ბოსტონში, მილუოკში, ახალ ორლეანსა და სხვა ქალაქებში.

## დარბაზობა საბჭოთა საელჩოში კაბულში

**ქაბული,** 12 ნოემბერი (საკდესი). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა საელჩოში კაბულში გაიმართა დიდი დარბაზობა, რომელსაც დაესწრო ავღანეთის მთავრობის მთელი შემადგენლობა პრემიერ-მინისტრ სარდარ მოჰამედ ხაშიმ ხანის მეთაურობით, ავღანეთის არმიის მაღალი თანამდებობის პირნი, სამინისტროთა მაღალი თანამდებობის მოხელეები, ავღანეთის სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელი მოღვაწეები, მოკავშირე და მეგობარი ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლები და ჟურნალისტები.

## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

### 12 ნოემბრის დილის ცნობა

11 ნოემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგესთან **სტალინგრადის** რაიონში, **ტუაფსეს** ჩრდილო-აღმოსავლეთით და **ნალჩიკის** სამხრეთ-აღმოსავლეთით. სხვა ფრონტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

სტალინგრადის რაიონში ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის იერიშებს. ქალაქის საქარხნო ნაწილში მოგერიებულ იქნა იერიშები მოწინააღმდეგისა, რომელიც ცდილობდა სოლივით შემოჭრილიყო ჩვენს თავდაცვაში. ნ ნაწილის არტილერისტებმა და ნაღმსატყორცნელებმა გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს გერმანელთა ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი. მებრძოლთა ჯგუფი, უმცროს ლეიტენანტ გორნოსტაევის მეთაურობით, გარს შემოერტყა მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ ცალკეულ სახლებს. ჩვენმა მებრძოლებმა გრანატები დააყარეს ჰიტლერელებს და დახოცეს 130 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით მოწინააღმდეგის ორმა ბატალიონმა ქვეითმა ჯარმა იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე ერთ დასახლებულ პუნქტში. ჩვენი არტილერიისა და ქვეითი ჯარის ცეცხლით ჰიტლერელთა იერიში მოგერიებულ იქნა, ამასთან მტერს დიდი ზარალი მიუყენდა. ბრძოლის შედეგად მოსპობილია მოწინააღმდეგის 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს 8 ტყვიამფრქვევი, 1 ნაღმსატყორცნი და 72 შაშხანა. სხვა უბანზე 6 ნაწილის მებრძოლნი შეიჭრნენ რუმინელთა სანგრებში და მოსპეს 80 ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ ქვემეხი, 3 ტყვიამფრქვევი და 2 ნაღმსატყორცნი.

* * *

ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანელთა ორი ბატალიონი ქვეითი ჯარი ცდილობდა ტანკების დახმარებით ფლანგიდან დაერტყა და უკუეგდო ჩვენი ნაწილი, რომელიც იცავს დიდი მნიშვნელობის მქონე პუნქტის მისადგომებს. საბჭოთა ქვეგანაყოფებმა მოიგერიეს გერმანელთა იერიში. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 200-მდე გვამი და 3 დაზიანებული ტანკი.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ნაწილების ცეცხლით მოსპობილია 440 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 3 ქვემეხი, დანგრეულია 7 ძელმიწური საცეცხლე წერტი და 30 ბლინდაჟი. 6 შენაერთის სნაიპერებმა ერთი თვის განმავლობაში მოსპეს 1.947 გერმანელი. სნაიპერმა ამხ. დროზდოვმა დახოცა 155 ჰიტლერელი, სნაიპერმა ამხ. აფანასიევმა —119 და სნაიპერმა ამხ. ვეზბერდევმა—106.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე ორივე მხრით კანტიკუნტი საარტილერიო და თოფ-ტყვიამფრქვევის სროლა იყო. ჩვენი მებრძოლების ჯგუფი, უფროს ლეიტენანტ ამხ. კოვალენკოს მეთაურობით, შეუმჩნევლად მიადგა მოწინააღმდეგის თავდაცვის წინა კიდეს და გარს შემოერტყა მტრის სამ ძელმიწურ საცეცხლე წერტს. მზვერავებმა ააფეთქეს საცეცხლე წერტები, დახოცეს 20-მდე გერმანელი და უდანაკლისოდ დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში. მოიერიშე მფრინავებმა ამხ. სავჩენკოს ხელმძღვანელობით დაარტყეს მტრის ავტოკოლონას. მოსპობილია 15 ავტომანქანა ტვირთიანად და ცოცხალ ძალიანად.

* * *

პოლესიის პარტიზანთა რაზმი გარს შემოერტყა დასახლებულ პუნქტს და მოსპო იქ მყოფი გერმანელთა გარნიზონი.

მინსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ათი დღის განმავლობაში მოსპო გერმანელთა 107 ავტომანქანა სხვადასხვა ტვირთიანად და ლიანდაგიდან გადააგდო მოწინააღმდეგის 2 სარკინიგზო ეშელონი. მარცხის შედეგად მოსპობილია 2 ორთქლმავალი და 25 ვაგონი სამხედრო მასალიანად და სამხედრო ტექნიკიანად.

* * *

იუგოსლაველი პარტიზანები შეტევაზე გადავიდნენ ქალაქ ბიხაჩის წინააღმდეგ. ღამის ბრძოლის შემდეგ პარტიზანებმა გაარღვიეს სიმაგრენი და ქალაქში შევიდნენ. პარტიზანებმა ქალაქში ხელთ იგდეს 500-ზე მეტი ვაგონი სიმინდი და ხორბალი, რაც გერმანიაში გასაზიდად იყო განკუთვნილი. პატრიოტები ამ სურსათს ურიგებენ იმ რაიონების მოსახლეობას, რომლებიც განსაკუთრებით დაზარალდნენ გერმანელ-იტალიელი ოკუპანტების მძეცობისა და ძარცვა-გლეჯისაგან.

### 12 ნოემბრის საღამოს ცნობა

12 ნოემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგესთან **სტალინგრადის** რაიონში, **ტუაფსეს** ჩრდილო-აღმოსავლეთით და **ნალჩიკის** სამხრეთ-აღმოსავლეთით. სხვა ფრონტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

11 ნოემბრის განმავლობაში ჩვენმა ავიაციამ ფრონტის სხვადასხვა უბნებზე ჩაახშო მოწინააღმდეგის 5 საარტილერიო ბატარეის, 10 საზენიტო-სატყვიამფრქვევო წერტის, 15 ნაღმსატყორცნის ცეცხლი და დაამსხვრია ორი სარკინიგზო შემადგენლობა.

* * *

სტალინგრადის რაიონში მოწინააღმდეგემ თავი მოუყარა რეზერვებს, გადააჯგუფა ბრძოლებში შებერტყილი ნაწილები და კვლავ გადმოვიდა შემოტევაზე ქალაქის თავდაცვის ყველა უბანზე. ქალაქის დამცველებმა მოიგერიეს ჰიტლერელთა მრავალრიცხოვანი იერიშები. მხოლოდ ერთ უბანზე შესძლეს გერმანელებმა უდიდესი ზარალის ფასად სოლივით შემოჭრილიყვნენ ჩვენს თავდაცვაში 100-200 მეტრზე. ჩრდილოეთ უბანზე ჩვენი ნაწილები კონტრიერიშზე გადავიდნენ და 400 მეტრით უკუაგდეს მტერი. მარტო ამ უბანზე ბრძოლის მსვლელობაში მოსპობილია 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 4 ტანკი, 14 ქვემეხი, 16 ნაღმსატყორცნი და აფეთქებულია 2 საწყობი სამხედრო მასალიანად.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ქვეგანაყოფები, რომლებსაც ამხ. მერკულოვი მეთაურობს, განაგრძობდნენ ბრძოლებს დასახლებულ პუნქტში და განდევნეს გერმანელები მრავალი სახლიდან. მოწინააღმდეგემ რამდენიმე უშედეგო კონტრიერიში მოიტანა. ორი დღის მანძილზე ამ დასახლებული პუნქტისათვის ბრძოლებში მოსპობილია ერთ ბატალიონზე მეტი რუმინელთა ქვეითი ჯარი. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს 11 დაზგისა და ხელის ტყვიამფრქვევი, დიდძალი შაშხანა და საომარი მასალა. სხვა უბანზე მოწინააღმდეგის ასეული ცდილობდა ბრძოლით დაეზვერა ჩვენი პოზიციები. ტყვიამფრქვევ-ნაღმსატყორცნის ცეცხლით მტერი უკუგდებულ იქნა.

* * *

ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ნაწილები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწეოდნენ, დასძლიეს მტრის წინააღმდეგობა და განდევნეს იგი ორი დასახლებული პუნქტიდან. დღის განმავლობაში ამ უბანზე წარმოებულ ბრძოლებში მოსპობილია მოწინააღმდეგის 170 ავტომანქანა, რამდენიმე საარტილერიო და ნაღმსატყორცნი ბატარეა. წინასწარი ცნობებით, გერმანელებმა ბრძოლის ველზე დასტოვეს 400-ზე მეტი გვამი. ხელთ ვიგდეთ გერმანელთა 2 დაუზიანებელი ტანკი, 1 საწევარი, 1 ექსპლუატაციო ნაღმსატყორცნი, 2 ქვემეხი, 108 ყუთი ყუმბარა, 10.000 ვაზნა, 2 საწყობი საომარი მასალა და 1 საწყობი სურსათი.

* * *

ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენი ნაწილები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის მცირე ჯგუფების იერიშებს. მზვერავმა რაზმებმა მოსპეს 130 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანელთა ორი ავიაგამანადგურებელი.

* * *

კარელიის ფრონტზე მზვერავთა ჯგუფი ამხ. აბდუტალიპოვის მეთაურობით ზურგში მოექცა მოწინააღმდეგეს და უეცრად დაარტყა მას. ჩვენმა მებრძოლებმა 30-მდე ჰიტლერელი გაჟლიტეს და უდანაკლისოდ დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

სმოლენსკელი პარტიზანების რაზმმა ამ უკანასკნელ ხანს ლიანდაგიდან გადააგდო მოწინააღმდეგის 2 სარკინიგზო ეშელონი, რომელიც ფრონტის ხაზისაკენ მიდიოდა. მარცხის შედეგად მოსპობილია 2 ორთქლმავალი, 40 ვაგონი და მოკლულია 220 გერმანელი ჯარისკაცი.

* * *

გერმანელ ჯარისკაც ნორბერტ მორავიცს აღმოაჩნდა გაუგზავნელი წერილი ვილაც იოჰან კულავიკისადმი. წერილში ის სწერდა: „ჩვენ გარშემორტყმული ვართ პარტიზანებით და ერთი დღეც კი არ გაივლის უმსხვერპლოდ. დღისით კიდევ ასატანია. ღამით კი საშინელი წამებაა. გასულ კვირაში პარტიზანები დაესხნენ ჩვენს პუნქტს. მათთან ბრძოლის შემდეგ ჩვენ 20 ჯარისკაცი დავმარხეთ. რუსებმა თავს მოგვახვიეს მეორე ომი—ზურგში. შეიძლება ითქვას, რომ აქ უფრო საშიშია, ვიდრე ფრონტზე, ვინაიდან არ იცი როდის, სად და რომელი მხრიდან დაგესხმის თავს მტერი. ყოველდღე ველით თავდასხმას. ამან შეიძლება ჭკუაზე შეშალოს ადამიანი“.

* * *

გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა კურსკის ოლქის არტელ „კრასნაია ზვეზდას“ კოლმეურნეების სისხლიანი აწიოკება მოაწყეს. ჰიტლერელმა ჯალათებმა 7 მოხუცი და 41 ქალი ჩამოახრჩეს. კურსკის ოლქის დმიტროვსკის რაიონში გერმანელებმა სულ მთლად გადასწვეს 6 სოფელი, ხოლო ყველა მცხოვრება იძულებითს სამუშაოზე გარეკეს.

* * *

ბერლინის რადიო ავრცელებს შემდეგს ცნობას: „გერმანიამ მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა ეკონომიური მდგომარეობა, უმთავრესად კავკასიის ხარჯზე. ჩვენ ახლა საჭირო ნავთის 30 პროცენტს კავკასიიდან ვიღებთ“. გერმანელთა ამ ბაქიობას რომ ისმენ, არ შეიძლება ბრძნული რუსული ანდაზა არ მოგაგონდეს: „მშიერ ქათამს ფეტვი ესიზმრებოდაო“. ჰიტლერელები საწვავის მწვავე ნაკლებობას განიცდიან. ცხადად და ძილშიც მათ კავკასიის ნავთი ელანდებათ. გერმანელებმა უდიდესი ზარალის ფასად მოახერხეს დაეკავებინათ მაიკოპის ნავთსარეწები, მაგრამ მათ იქ ნავთი ვერ მიიღეს და ვერც მიიღებენ. სარეწების მოწყობილობა და ნავთის მთელი მარაგი დროზე გადმოვზიდეთ, ხოლო თვითონ ნავთსარეწები სავსებით უვარგის მდგომარეობაში დავტოვეთ. გერმანელებმა სცადეს აღედგინათ ზოგიერთი ნავთსარეწი, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ჰიტლერელებმა ვერ მოახერხეს მიეღოთ საბჭოთა ნავთი.



**მოქმედი არმია.** მრისხანე საფრთხის დღეებში, რომელიც თავს დასტრიალებს ჩვენს სამშობლოს, ფეხზე დადგნენ დონის და ყუბანის კაზაკები და მოხალისეებად შევიდნენ გენერალ-ლეიტენანტ ნ. ი. კირიჩენკოს კაზაკთა კორპუსში. კაზაკობა მთელ ოჯახებად მიდიოდა მშობლიური მიწა-წყლის დასაცავად. კაზაკი გორდეი ანდრიას-ძე ზუბენკო მთელი თავისი ოჯახით შევიდა კაზაკთა ნაწილში, მისი ცოლი, ორი ქალიშვილი და ვაჟი იარაღით ხელში იცავენ სამშობლოს.

**სურათზე:** მარჯვნიდან მარცხნით—გვარდიის პოლიტხელი გ. ა. ზუბენკო, მისი ცოლი, ნაწილის მზარეული ევდოკია ილიას-ასული, ქალიშვილი ნატალია—მეტყვიამფრქვევე, მეორე ქალიშვილი ნინელი — სანინსტრუქტორი და ვაჟი ალექსანდრე—მეტყვიამფრქვევე.

ფოტო ი. ოზერსკისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

## ამხანაგ სტალინის მოხსენება და ბრძანება გამარჯვებისაკენ მოგვიწოდებენ

### ბელადის მოხსენებას ახალი ვალდებულებების აღებით უპასუხეს

თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის კოლექტივი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის—ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენებას მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1942 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე.

ქარხანაში შემდგარ მუშათა საერთო მიტინგს ამხანაგ სტალინის მოხსენების შინაარსი და თავდაცვის სახალხო კომისრის—ამხანაგ ი. სტალინის 7 ნოემბრის ბრძანება გააცნო ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. დოშნიევმა. სიტყვით გამოსულმა ქარხნის მოწინავე ადამიანებმა მთელი კოლექტივის წინაშე პირობა დასდეს ბელადის მოხსენების საპასუხოდ კიდევ უფრო გაზარდონ თავიანთი საწარმოო მაჩვენებლები, მტკიცედ დაიცვან მომჭირნეობის რეჟიმი.

საამქროს სტახანოველმა ზეინკალმა ამხ. ი. ტოკაშვილმა პირობა დასდო ყოველდღიური საწარმოო დავალება ორმაგად და სამმაგად შეასრულოს. მოსამზადებელი საამქროს მეშტამპე ქალმა ამხ. დომრაჩევამ იკისრა კიდევ უფრო გაზარდოს თავისი შრომის ნაყოფიერება და ისე დაშტამპოს ფურცლოვანი რკინა, რომ რკინის მცირედი ნაჭერიც კი არ დაიკარგოს უქმად.

დიდი ბელადის ისტორიული მოხსენების საპასუხოდ ახალი ვალდებულებები აიღეს აგრეთვე ზეინკალმა ამხ. ზარდალოვმა, სახარატო ჯგუფის კომკავშირელმა ბრიგადირმა ამხ. ბახტაძემ, № 1 ამწყობი საამქროს უფროსმა ამხ. ოსიპოვმა. მთლიანად ქარხანამ ვალდებულება აიღო წლის ბოლომდე დაზოგოს 2 ტონა მაღალხარისხოვანი ლითონი, 4 ტონა საწვავი მასალა, 30.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია და ნოემბრისა და დეკემბრის საწარმოო გეგმები ყველა მაჩვენებლის მიხედვით შეასრულოს 103-105 პროცენტით.

**ი. შოროძელი**

### მოვაახლოოთ ჩვენი გამარჯვება

**თბილისის** სპილენძსატკეცი ქარხნის კოლექტივი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ამხანაგ **სტალინის** 6 ნოემბრის მოხსენებას და 7 ნოემბრის ბრძანებას.

მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე **ამხ.** ბერიაშვილმა, არუთინოვმა, შტუნკომ და სხვებმა, რომელნიც ყველა დამსწრის აზრს გამოხატავდნენ, განაცხადეს, რომ საყვარელი ბელადის დიდი სტალინის მოხსენებამ ახალი ძალა შემატა მათ მუშაობაში. მიტინგზე გამოსულმა ამხანაგებმა იკისრეს ვალდებულება გაათკეცებული ენერგიით იმუშაონ, რათა მოაახლოონ ვერაგ მტერზე გამარჯვების ჟამი.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ქარხნის კოლექტივმა იკისრა ვალდებულება წლიური გეგმა 25 დეკემბრისათვის შეასრულოს, დაზოგოს 30 პროცენტი ელექტროენერგია, სულ ცოტა 10 პროცენტი სათბობი და 5 პროცენტი ლითონი. (საქდესი).

### მოვსპოთ ჰიტლერული სახელმწიფო და მისი სულისჩამდგმელნი

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგმა დაძაბული ყურადღებით მოისმინა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარისა და თავდაცვის სახალხო კომისრის—ამხანაგ **სტალინის** მოხსენების და 7 ნოემბრის ბრძანების შინაარსი.

მოხსენებისა და ბრძანების ტექსტი მიტინგს გააცნო კომბინატის დირექტორმა ამხ. ა. შახნაზაროვმა.

— ბელადის ისტორიული მოხსენება გვრაზმავს თავდადებული შრომისათვის, გვიძლიერებს ვერაგ მტერზე გამარჯვების რწმენას. ჰიტლერული არმიის, ჰიტლერული სახელმწიფოს განადგურება გარდუვალია. მაგრამ გამარჯვების მისაღწევად საჭიროა ზურგში ფრონტული თავდადებით მუშაობა. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ „ევროპაში ახალი წესრიგის“ მშენებელთა გასანადგურებლად, — ასეთია ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის მუშაკთა პასუხი დიდი ბელადის მოხსენებაზე.

მიტინგის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის მუშაკები დაუღალავად და თავდადებით იმუშავებენ, ყველაფერს გააკეთებენ ჰიტლერელი არამზადების გასანადგურებლად.

### გერმანელ ფაშისტ ავაზაკთა სრული განადგურებისათვის

**ნ** ქარხნის კოლექტივმა მიტინგზე უდიდესი გულისყურით მოისმინა ამხანაგ **სტალინის** 6 ნოემბრის მოხსენებისა და 7 ნოემბრის ბრძანების ტექსტის შინაარსი.

ქარხნის მუშაკთა სახელით სტახანოველმა ამხ. ს. ვარტიკოვმა განაცხადა, რომ ქარხნის კოლექტივი ამხანაგ სტალინის მოხსენების პასუხად კიდევ უფრო განამტკიცებს შრომის დისციპლინას, კიდევ უფრო გაადიდებს პროდუქციის გამოშვებას, რათა ზურგში გმირული შრომით დაეხმაროს წითელ არმიას ვერაგი მტრის საბოლოო განადგურებაში. ამხ. ვარტიკოვმა აიღო ვალდებულება ყველა საწარმოო დავალება თვალსაჩინო გადაჭარბებით შეასრულოს.

საზეინკლო უბნის სტახანოველმა ამხ. ფირსაკოვმა წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ადმინისტრაციისაგან მადლობა მიიღო, ხოლო მისმა საამქრომ—გარდამავალი წითელი დროშა. ამხ. ფირსაკოვმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ერთიორად გაადიდებს შრომის ნაყოფიერებას, თავდადებული შრომით კიდევ უფრო მეტ დახმარებას გაუწევს წითელ არმიას გერმანიის ფაშიზმის განადგურებაში.

პატრიოტული სიტყვები წარმოსთქვეს სტახანოველებმა ამხ. ე. ილურიძემ, ჯანელიძემ, ბრატიკოვსკიმ და სხვ. მათ აიღეს ვალდებულება ნოემბრის საწარმოო დავალება 25 ნოემბრისათვის შეასრულონ.

მიტინგის მიერ ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ქარხნის მთელი კოლექტივი დიდი სტალინის მოხსენების პასუხად იმუშავებს გაასკეცებული ენერგიით, უწუნოდ, მიაღწევს მასალის თვალსაჩინო ეკონომიას და ამით დაეხმარება ფრონტს, რომ გმირმა წითელმა არმიამ უფრო მაგრად ჩასცეს ლახვარი გერმანელ ფაშისტ ავაზაკებს.

### გეგმებს გადაჭარბებით შეასრულებენ, გასწევენ მასალის ეკონომიას

სტალინის სახელობის თბილისის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები უდიდესი აღფრთოვანებით გაეცნენ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის—ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის შესახებ.

მიტინგზე მხურვალე სიტყვით გამოვიდა სტახანოველი ს. მარკაროვი. დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მოხსენების პასუხად მან აიღო ვალდებულება, რომ საწარმოო დავალებას ნაცვლად 125 პროცენტისა ყოველთვიურად 140 პროცენტით შეასრულებს, ნოემბერში 3.000 კვადრატულ დეციმეტრ საპირე ტყავს დაზოგავს.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე სამასოვანი ამხ. ქ. მეძმარიაშვილი, მ. სარქისოვი, სპეცსაამქროს უფროსი ამხ. ბაბლუმოვი და სხვ.

მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ამხანაგ სტალინის მოხსენების პასუხად ნოემბრისა და მეოთხე კვარტალის საწარმოო გეგმა თვალსაჩინო გადაჭარბებით იქნება შესრულებული და მასალის საგრძნობ ეკონომიას გასწევენ.

### ბელადის მოხსენებას ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხებენ

თბილისის სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკაში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი, მიძღვნილი დიდი **სტალინის** მიერ მოსკოვის საბჭოს და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1942 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე გაკეთებული მოხსენებისადმი.

ამხანაგ სტალინის მოხსენების ტექსტი მიტინგზე წაიკითხა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯ. მოლოტოვის რაიკომის მდივანმა ამხ. ოქრუაშვილმა.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ ფაბრიკის მოწინავე მუშები ამხ. გამყრელიძე, თოდრია, საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ოვნატანიანი, საფაბრიკო პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. იონისიანი და სხვ.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ჩაწერილია კონკრეტული საწარმოო ვალდებულებანი, რომელთა შესრულებასაც კისრულობს ფაბრიკის მთელი კოლექტივი: 27 ნოემბრისათვის შეასრულონ წლიური საწარმოო დავალება, გასწიონ საძირე ტყავისა და დამხმარე მასალების ეკონომია, 10 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება და მნიშვნელოვნად შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება.

### გეგმის გადამეტებით

განიხილეს რა საერთო-საქარხნო მიტინგზე ხალხთა დიდი ბელადის—ამხანაგ სტალინის მოხსენება, თბილისის ფანერის ქარხნის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა იკისრეს მთელი რიგი ახალი ვალდებულებანი.

ქარხნის კოლექტივმა 7 ნოემბრისათვის შეასრულა წლიური საწარმოო გეგმა და ამით პირნათლად განაღდა თავისი წინასაოქტომბრო ვალდებულება. წლის ბოლომდე ქარხანა გეგმის გადამეტებით გამოუშვებს 4 მილიონ ასანთს. (საქდესი).

### ხალხმრავალი კრებები და მიტინგები ზუგდიდის რაიონში

**ზუგდიდი** („კომუნისტის“ საკ. კორ.). ზუგდიდის რაიონის მშრომელებში უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის—ამხანაგ სტალინის 1942 წლის 6 ნოემბრის ისტორიულმა მოხსენებამ. 8 ნოემბრიდან 11 ნოემბრამდე რაიონის ყველა საწარმო - დაწესებულებაში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ხალხმრავალ კრებებსა და მიტინგებზე გაეცნენ ამხანაგ სტალინის მოხსენებას.

10 ნოემბერს ზუგდიდში შესდგა მიტინგი, რომელსაც 1.700-ზე მეტი კაცი დაესწრო. ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენება და 7 ნოემბრის ბრძანება მიტინგს გააცნო საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანმა ამხ. ჩაჩიბაიამ. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ მიხეილ სესკურია, ტატიანა გრიგოლია, სოკრატ პეტრიდისი და სხვები. სიტყვებით გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ დიდი სტალინის ისტორიულ მოხსენებას აქვს უდიდესი შთამაგონებელი და მაორგანიზებელი ძალა.

ბელადის მოხსენების პასუხად ზუგდიდის ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა ვალდებულება მიმდინარე წლის სეზონი 10 დღით ადრე დაამთავროს და ყველა სახის გეგმა გადაჭარბებით შეასრულოს. კონკრეტული ვალდებულებები აიღეს ამავე ფაბრიკის სტახანოველმა მუშებმა.

ორჯონიკიძის სახელობის და კოლმეურნეობა „დამკვრელის“ კოლმეურნეებმა იკისრეს ნოემბერში შეასრულონ 1942 წლის ყველა სახელმწიფო დავალება.

საწარმოთა საამქროებსა და კოლმეურნეობათა ბრიგადებში გრძელდება ამხანაგ სტალინის მოხსენების განხილვა.

**გ. გოგებაშვილი**

## უცხოელი სახელმწიფო მოღვაწეების მისალმებანი საბჭოთა კავშირისადმი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავთან დაკავშირებით

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირისადმი მისალმებანი გამოგზავნეს: კოლუმბიის პრეზიდენტმა ალფონსო ლოპესმა, ჰონდურასის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ტიბურსიო კარიასმა და კანადის პირველი არმიის სარდალმა გენერალმა მაკნოტონმა.

## ჩეხოსლოვაკთა მიტინგი ლონდონში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის აღსანიშნავად

**ლონდონი,** 12 ნოემბერი (საკდესი). ლონდონში მცხოვრებმა ჩეხოსლოვაკებმა მასობრივი მიტინგით აღნიშნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავი. გახსნა რა მიტინგი, ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე მაქსამ განაცხადა: „ჩვენ, ჩეხოსლოვაკებს, უფლება გვაქვს მივიჩნიოთ თავი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ყველაზე ერთგულ მეგობრად, ვინაიდან მისდამი ჩვენს დამოკიდებულებას მეოთხედი საუკუნის მანძილზე არავითარი ცვლილება არ განუცდია და ყოველთვის მეგობრული იყო“.

მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე: ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე რიპკა, ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო საბჭოს წევრი მაიერი, ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარე კაპლოვიჩი და ჩეხოსლოვაკელი ახალგაზრდობის წარმომადგენელი—ჯარისკაცი კავანი.

მიტინგის მონაწილენი მისალმების ტაშით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის ელჩს ბოგომოლოვს, რომელმაც დაარწმუნა ისინი საბჭოთა კავშირის მეგობრობაში და მოუწოდა ჩეხოსლოვაკებს—აქტიურად იბრძოლონ ჰიტლერელ აგრესორთა წინააღმდეგ.

# საქართველოს მამაცი შვილები სამამულო ომის ფრონტებზე

## ორდენოსანი ლეიტენანტი შ. ობოლაძე



შოთა ამბაკოს-ძე ობოლაძე დაიბადა სოფ. სხვავაში (ამბროლაურის რაიონი) 1918 წელს. არასრული საშუალო სკოლა დაამთავრა თბილისში და შევიდა თბილისის საქარხნო-საფაბრიკო სკოლაში. ამ სკოლის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობს ზეინკლად თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების ტრესტის სახელოსნოში მიმდინარე შეკეთებაზე, ამავე დროს სწავლობს მოზრდილთა სანიმუშო ათწლედში, რომელსაც ამთავრებს 1939 წელს. იმავე წელს იგი გაწვეულ იქნა წითელ არმიაში. 1940 წელს მას გზავნიან სამხედრო სასწავლებელში.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დაწყების დღიდანვე ამხ. ობოლაძე ლეიტენანტის წოდებით ბრძოლის ველზეა და ვაჟკაცურად ებრძვის მომხდურ მტერს. ამხ. შ. ობოლაძის მიერ ცოლისადმი გამოგზავნილი თითოეული წერილი ჩვენი გამარჯვების ულრმესი რწმენით არის აღსავსე.

„ვიცი, — სწერს . იგი ცოლს, — ჩემზე დარდობ. რა გაქვს სადარდებელი? მე ვიბრძვი ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის. ჩვენი ბედნიერებისათვის. მძიმეა ეს ბრძოლა, მტერი ძლიერი და მუხანათია. მაგრამ ერთში ღრმად ვარ დარწმუნებული — საბოლოო გამარჯვება ჩვენია, მტერი დამარცხებული იქნება".

ამხ. შ. ობოლაძე დაუნდობლად, თავგანწირულად ებრძვის პირსისხლიან ჰიტლერელებს. მან არ იცის, რა არის უკან დახევა მტრის წინაშე. მისი მაგალითით აღფრთოვანებულნი ვაჟკაცურად და სასახელოდ იბრძვიან მისი ქვეგანაყოფის მებრძოლები. მრავალი საბრძოლო ოპერაცია სასახელოდ აქვს ჩატარებული ამხ. შ. ობოლაძეს და ყოველი ბრძოლიდან იგი გამარჯვებული გამოსულა.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის ლეიტენანტი შოთა ამბაკოს-ძე ობოლ[illegible] სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით.

**შ. ბვინჩიძე**



მოქმედი არმია (მოზდოკის რაიონი). სურათზე: მეავტომატეები გვარდიის ზემდეგ ვ. ა. ბუგაევის მეთაურობით—დასახლებული პუნქტისათვის ბრძოლაში.

ფოტო მ. ალპერტისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

## ორდენოსანი უმცროსი ლეიტენანტი შ. კოპაძე



სევასტოპოლის გმირული დაცვა საბჭოთა ხალხის სამამულო ომის ისტორიაში შევა როგორც მისი ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე ფურცელი. გმირი ქალაქის შეუპოვარ დამცველთა შორის საპატიო ადგილი დაიკავა ზესტაფონელმა ჭაბუკმა შალვა კოპაძემ.

250 დღე იგი იბრძოდა სევასტოპოლის დაცვისათვის. მტერს გააფთრებული იერიშები მოჰქონდა ქალაქზე ხმელეთიდან, ჰაერიდან. გადაჭრილი იყო სახმელეთო გზები ზურგთან, დიდი იყო სიძნელეები, მაგრამ ქვემეხის ახალგაზრდა მეთაური ამხ. შ. კოპაძე სევასტოპოლის გმირ დამცველებთან ერთად თავისი ქვემეხით ანადგურებდა მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას. მისი ქვემეხის ყუმბარებით ბევრმა ბანდიტმა ჰპოვა სამარე სევასტოპოლის მისასვლელებთან.

1942 წ. 25 ივნისს გაზ. „კომუნისტის" მოსკოველი კორესპონდენტი იუწყებოდა: „სევასტოპოლთან ბრძოლებში თავი გამოიჩინა ქვემეხის მეთაურმა უმცროსმა სერჟანტმა შალვა კოპაძემ. კოპაძე ბატარეაში საუკეთესო მებრძოლად ითვლება. ერთ ბრძოლაში მისი ქვემეხის ზუსტად დამიზნების მეოხებით მოგერიებულ იქნა ფაშისტების იერიში და დამსხვრეულ იქნა ფაშისტების ნაღმსატყორცნი ბატარეა. კოპაძე არმიაშია ომის პირველი დღეებიდანვე. იგი მუდამ მამაცურად იცავდა ყოველ მტკაველ საბჭოთა მიწა-წყალს.

ერთხელ მოწინააღმდეგემ ორი ბატარეის ცეცხლი დაუშინა მის ქვემეხს, მაგრამ კოპაძე მტკიცედ განაგრძობდა მტრის მოსპობას და საცეცხლე პოზიციიდან მხოლოდ მას შემდეგ მოიხსნა, რაც ბრძანება მიიღო.

ფრონტის ყირიმის უბანზე ნოემბრის ბრძოლების დროს კოპაძე პირდაპირი დაშენით იგერიებდა მტრის იერიშს და ფუშავდა მის გეგმებს. მის გუნდში მწყობრიდან გამოყვანილ იქნა ორი მებრძოლი, მაგრამ იგი ინტენსიურ სროლას განაგრძობდა და თავიდან აიცილა გარემოცვა.

ქვემეხის მეთაური კოპაძე პარტიის წევრია. სარდლობამ მაღალი შეფასება მისცა შ. კოპაძის საბრძოლო დამსახურებას"...

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის შალვა დავითის-ძე კოპაძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით.

ამხ. შალვა დავითის-ძე კოპაძე დაიბადა 1920 წელს სოფ. ცხრაწყაროში (ზესტაფონის რ.). მშობლიურ სოფელში მიიღო დაწყებითი განათლება. ზესტაფონში დაამთავრა საშუალო სკოლა. 1940 წელს შევიდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის ფაკულტეტზე. პირველ კურსზე იყო, როცა წითელ არმიაში გაიწვიეს. მეთაურთა სკოლაში ჩარიცხეს. მათემატიკის მოსიყვარულე ახალგაზრდამ საარტილერიო საქმე შეისწავლა. იგი სამამულო ომის პირველი დღიდან ფრონტზეა.

**პ. ჭიოკაძე**

## ორდენოსანი ლეიტენანტი დ. ჩიხლაძე

მტრის ხელით ნასროლი ტყვია შხამიანი გველივით ეძგერა მკერდში. ტკივილმა გული შეუკუმშა, თვალთ დაუბნელდა.

ნუთუ ეს სიკვდილია? დავით ჩიხლაძემ ძალ-ღონე მოიკრიბა და წამოიწია. გიმნასტურიდან სისხლი სწვეთავდა, გარშემო ყუმბარები სკდებოდა, ცხარე ბრძოლა ბობოქრობდა.



ჰოსპიტალი. მეთაური ჩიხლაძე იწვა და თავის საკანდიდატო ბილეთს სინჯავდა. იგი შუა ადგილას გახვრეტილი იყო. დიდხანს უცქერდა დავითი ამ ბილეთს და ფიქრობდა, ყველაფერი გააკეთა თუ არა იმისათვის, რომ ბრძოლაში გაემართლებინა მეომარ-ბოლშევიკის წოდება. პალატაში სიწყნარეა. გრძელ წყებად მიჰყვება ერთმანეთს მოგონებანი უკანასკნელ ამბებზე, ფრონტზე გატარებულ დღეებზე.

აი იგი ქვემეხით გამაგრდა მთის ჩქარ მდინარესთან. ფაშისტური ქვეწარმავალი თუ გამოჩნდა, გუნდი გამანადგურებელ სროლას ატეხს. მებრძოლები გატაცებული არიან სურვილით — იბრძოლონ თავგანწირულად, მტერი კი არ გამოუშვან. ასე ღაზარდა ისინი მეთაურმა.

გამოჩნდა მანქანების კოლონა.

— ტანკები მოდიან მოსაშველებლად. — იფიქრა მეთაურმა. მაგრამ ეს რომ ფაშისტების ტანკები იყო, და არა ჩვენი, ამას ჩიხლაძე მაშინ მიხვდა, როცა მტრის ყუმბარამ ზედ ქვემეხთან ასტყორცნა მიწა. ახლა მეთაურს ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ვითარება — ფაშისტებს მდინარე გადმოულახავთ, გზა გადაუჭრიათ და ზურგიდან მოდიან არტილერისტების წინააღმდეგ. მდგომარეობის ხსნა წამებს შეეძლო.

— ბრძოლისათვის!—ამ განკარგულებისთანავე მებრძოლებმა 180 გრადუსით მოაბრუნეს ქვემეხი. მემიზნე ჟუკოვმა პირველი ყუმბარით მოწინავე ტანკი დააზიანა. შეჯავშნული ყაჩაღთა ბანდა წინ მოისწრაფოდა. მწყობრიდან გამოსული მემიზნის ადგილი მესაზიდრე პოვრებნიუკმა დაიკავა. მან სამი ტანკი კიდევ დააზიანა. როცა ყუმბარები გამოილიათ, მეთაურმა ჩიხლაძემ ქვემეხი ხრამში გადაჩეხა და დაჭრილმა, მტრის ძლიერი სროლის მიუხედავად, გამოიყვანა მებრძოლები.

გერმანელთა ტანკებთან მეორე შეხვედრა მოხდა პუნქტ კ-სთან. არტილერისტთა ქვეგანაყოფს თავს დაესხა 60 მანქანა. გაჩაღდა მძიმე ბრძოლა. ჩიხლაძე ორი ქვემეხით დარჩა და გადასწყვიტა უკანასკნელ შესაძლებლობამდე ებრძოლნა.

იგი საცეცხლე პოზიციას იცვლიდა, უჩინარი რჩებოდა და სამი საათის განმავლობაში აკავებდა ამ ჯავშნიან ნიაღვარს. ამ ბრძოლაში მან მტრის 6 ტანკი მოსპო.

დიდი საბრძოლო გაწრთვნილობა და გულადობა გამოიჩინა კომუნისტმა ჩიხლაძემ სხვა ბრძოლაში. არტილერიის ცეცხლით იგი მაშინ ხელს უწყობდა ქვეითების შეტევას. იერიშის დროს მსროლელი ქვეგანაყოფის მეთაური მწყობრიდან გამოვიდა. დაირღვა მართვა, შეტევას წარმატება არ მოჰყვა. მაშინ ჩიხლაძემ მეთაურობა იკისრა. ღამის წყვდიადში მსროლელები ზედ სოფელთან მიიყვანა, ტყვიამფრქვევები დადგა, ყოველ მებრძოლს ამოცანა განუმარტა.

გარიჟრაჟზე ჰაერში აიტყორცნა სამი წითელი რაკეტა, და ქვეითები ეკვეთნენ მტერს. მამაცური, გადამწყვეტი შეტევით ჩიხლაძემ მცირე ძალებით უკუაქცია გერმანელები. გადარჩენილი ფაშისტები თავზარდაცემული გარბოდნენ სოფლიდან, სტოვებდნენ იარაღს და საომარ მასალებს. ჩიხლაძემ და მისმა მებრძოლებმა მტრის 200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი გასწყვიტეს, ხელთ იგდეს 2 მძიმე ქვემეხი, ერთი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, ავტომატური ზარბაზანი, 4 ნაღმსატყორცნი, 3 დაზგის ტყვიამფრქვევი; მრავალი შაშხანა და ავტომატი, დიდძალი საომარი მასალები.

ასე ომობს სამშობლოს მტრების წინააღმდეგ და ამარცხებს მათ ქართველი ხალხის ერთგული შვილი დავით ვასილის-ძე ჩიხლაძე. მისთვის ძვირფასია მეომარ-ბოლშევიკის ღირსება, და ეს ღირსება მან პირნათლად გამოატარა სისხლისმღვრელი ბრძოლების ქარიშხალში. მშობლიური და ძვირფასი მზიური კავკასიისათვის, დიდი სტალინის სამშობლოსათვის, საბჭოთა ხალხის ღირსებისა და თავისუფლებისათვის, საყვარელი მიწა-წყლისათვის საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალი გრძნობებით აღფრთოვანებული ნამდვილი ბოლშევიკი მზად არის კვლავ ეკვეთოს მტერს და დაამარცხოს იგი.

მთავრობამ ღირსეულად დააფასა მეთაურის დამსახურება. ბრძოლაში სიმამაცისა და გულადობისათვის ამხ. ჩიხლაძე დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით. იგი ღირსია მაღალი პატივისა.

**ი. დრუჩენკო**

(№ წითელარმიული გაზეთი).

## ორდენოსანი სამხედრო ექიმი ა. ლეჟავა



ალექსანდრე ვალერიანის-ძე ლეჟავა დაიბადა ქ. ჭიათურაში 1908 წელს. აქვე დაამთავრა საშუალო სასწავლებელი. 1934 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი და მუშაობდა ჭიათურაში. 1935 წელს წითელ არმიაში გაიწვიეს და ხაბაროვსკის სამხედრო ჰოსპიტალში ექიმად მუშაობდა. 1937 წელს ჭიათურაში დაბრუნდა და საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგედ მუშაობდა. 1940 წლიდან კვლავ წითელ არმიაშია, როგორც სამხედრო ექიმი.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დაწყებიდანვე ამხ. ა. ლეჟავა ფრონტზეა და მის მიერ ასობით განკურნებული დაჭრილი მებრძოლები სიყვარულითა და პატივისცემით იხსენიებენ მას, მის შესანიშნავ ოპერაციებს. წითელარმიულ გაზეთ „სტალინეცში" ამხ. ა. ბროსლავსკი და ი. დუხნოვსკი წერილში „საოპერაციო მაგიდასთან" მოგვითხრობენ სამხედრო ექიმ ა. ლეჟავას შესანიშნავ ოსტატობაზე.

„ასისტენტი და მედიცინის დები ელოდებოდნენ ექიმს საოპერაციო მაგიდასთან, რომელზეც უმოძრაო სხეული იდო. ჩავარდნილი, ღაღარული სახის ნაკვეთები ჰქონდა დაჭრილს, მაჯისცემის არავითარი ნიშნები არ ჩანდა. თითქოს, წინასწარ გადაწყვეტილი იყო მისი ბედი.

ექიმმა გაჰკვეთა დაჭრილის მუცლის ღრუ და დაინახა რამდენიმე ადგილას გაგლეჯილი ღვიძლი.

— ასეთი ავადმყოფის გადარჩენა შეუძლებელია. იგი საოპერაციო მაგიდაზე დარჩება, —ჩუმად სთქვა ასისტენტმა.

მაგრამ ექიმმა ლეჟავამ, თითქოს არც კი გაუგონია ნათქვამით, გაკერა გაგლეჯილი ადგილები, ოსტატურად ამოსჭრა ღვიძლის დაზიანებული ადგილები და ისიც გაკერა.

დაჭრილ წითელარმიელ ჟუკოვის მდგომარეობა გაუმჯობესდა...

... უთვალავ ღამეებს და დღეებს ატარებს ალექსანდრე ვალერიანის-ძე დაჭრილთა სასთუმალთან. შესანიშნავი ქირურგი-კომუნისტი ლეჟავა იბრძვის მებრძოლებისა და მეთაურების წითელი არმიის მწყობრში დაბრუნებისათვის.

დასვენების იშვიათ წუთებში ალექსანდრე ვალერიანის-ძეს უყვარს თავისი პაციენტების მოგონება. ეს მოგონებანი ხასიათდება უსაზღვრო ადამიანური გულთბილობით. აი მებრძოლი სახაროვი. იგი მოიყვანეს ღამით, უიმედო მდგომარეობაში. ალექსანდრე ვალერიანის-ძემ, როგორც შემდეგ სიტყვა-სიტყვით ამბობდნენ, მკვდრეთით აღადგინა, გააცოცხლა იგი.

ექიმი ლეჟავა დიდხანს ემახსოვრება ახალგაზრდა ლეიტენანტ ნიკოლოზ კაპშილკინს. კაპშილკინი დაჭრილი იყო წვრილი ნაწლავების არეში. ამ შემთხვევაში ძალიან დახელოვნებული ოპერაციაც კი დაჭრილის სიკვდილით მთავრდება. მაგრამ ექიმმა ლეჟავამ ქირურგის დანით აჯობა სიკვდილს და ახლა ახალგაზრდა ლეიტენანტს კვლავ ბრძოლაში მიჰყავს თავისი ქვეგანაყოფი.

დედა-სამშობლომ დამსახურებისამებრ შეაფასა კომუნისტი-ქირურგის თავდადებული მუშაობა".

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის მესამე რანგის სამხედრო ექიმი ალექსანდრე ვალერიანის-ძე ლეჟავა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით.

**პ. აბრამიძე**

## ორდენოსანი სამხედრო ექიმი ვ. მაღრაძე

ათობით ურთულესი ოპერაცია გაუკეთებია სამხედრო ექიმს ვახტანგ კორნელის-ძე მაღრაძეს ფრონტის პირობებში, მოწინავე ხაზის ახლოს. მას არა ერთხელ შეხვედრია ოპერაციის გაკეთება, როდესაც კარვის გარშემო მტრის ნაღმები და ყუმბარები სკდებოდა. მაგრამ მას სიკვდილისა არ ეშინია. იგი მეომარია, სამშობლოს, საქართველოს დამცველთა სიცოცხლისათვის მეომარი.

იგი მუშაობს, ახმარს მთელ თავის ძალღონეს, სიცოცხლეს უნარჩუნებს მეომრებს, აძლევს მათ შესაძლებლობას კვლავ ჩადგნენ მწყობრში, კვლავ ანადგურონ საძულველი მტრები. ბევრი სიძნელე და გაჭირვებაა საფრონტო ცხოვრებაში, მაგრამ პატრიოტ ექიმს არაფერი ეშინია მათი, არაფერი სძლევს მათ.

...აქ არ არის მყუდრო საოპერაციო კაბინეტი. მთის ფერდობზე ასწლოვან ხეებს შუა დადგმული უბრალო კარავი სცვლის მას. აქ არ არის ის დუმილი ოპერაციის დროს, რომელსაც მიჩვეულნი არიან სამოქალაქო ექიმები. აფეთქებისა და სროლის ხმა აყრუებს მიდამოს, ხშირად ფეხქვეშ მიწა ზანზარებს და კარვის „კედლები" ქანაობენ. ადამიანი ყველაფერს ეჩვევა. მუშაობის ასეთ პირობებს მიეჩვია ამხ. მაღრაძე. ამ კარავში იგი იბრძვის სიცოცხლისათვის.

ბევრი, ძალიან ბევრი სიცოცხლე გადაარჩინა მესამე რანგის სამხედრო ექიმმა კომუნისტმა ვახტანგ კორნელის-ძე მაღრაძემ. ათობით მებრძოლები და მეთაურები, რომლებსაც იგი მკურნალობდა, კვლავ ომობენ გერმანელი ფაშისტი მტარვალების წინააღმდეგ. ტყუილად კი არ უწოდებენ ფრონტის ჩვენს უბანზე ქირურგ მაღრაძეს სიკვდილის მძლეველს.

ამას წინათ მან სიცოცხლე დაუბრუნა მძიმედ დაჭრილ, უიმედო მდგომარეობაში მყოფ მებრძოლ აზიზოვს და ორდენოსან გმირ არტილერისტს კალინინს.

სარდლობამ მაღალი შეფასება მისცა ქართველი ხალხის ღირსეული შვილის, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის მიერ აღზრდილის საბრძოლო დამსახურებას. ვახტანგ კორნელის-ძე მაღრაძე დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით.

**პ. უდოვენკო**

უმცროსი პოლიტხელი.

# დიდი სტალინის მოხსენებას კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ

## თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატმა საკავშირო სოცშეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულ თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატს (დირექტორი ნ. თუშიშვილი, პარტბიუროს მდივანი ტ. ალექსიშვილი, საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე ე. ტეხმიშიანი) გასული თვის საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებისათვის (გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცა 264.000 მანეთის პროდუქცია, დაზოგა 4 ტონა ბამბა), სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა შორის პირველი ადგილი მიეკუთვნა და გადაეცა პროფკავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს და სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა.

ამ სასიხარულო ცნობასთან დაკავშირებით გუშინ, მუშაობის დამთავრების შემდეგ, კომბინატში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი. კომბინატის დირექტორმა ამხ. ნ. თუშიშვილმა დამსწრეთ გააცნო სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. ლუკინის მისასალმებელი დეპეშა.

მიტინგზე სიტყვებით გამოსულმა ქვეოსტატებმა ამხ. ინასარიძემ და ანაკიმოვამ, აგრეთვე კომკავშირული ბრიგადის ხელმძღვანელმა ამხ. კაიროვამ და სამღებრო საამქროს უფროსის მოადგილემ ამხ. კარპოვამ კომბინატის მიერ პირველი ადგილის მოპოვებასთან დაკავშირებით აიღეს მთელი რიგი ახალი ვალდებულებანი, რათა კიდევ უფრო გააძლიერონ ფრონტისადმი დახმარება, ახალი საწარმოო გამარჯვებებით უპასუხონ დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ისტორიულ მოხსენებას.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი მსუბუქი მრეწველობის დარგში ამხ. ლელიძე და საქ. ალკკ თბილისის ორჯ. ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. გოგლიძე.

მიტინგს ესწრებოდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯ. ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. ბაიდაშვილი.

## მეშახტენი მაღალხარისხოვან ქვანახშირს იძლევიან

**ტყიბული** („კომუნისტის" საკ. კორ.). გასულ წელს ტყიბულქვანახშირის ტრესტის დასავლეთ შახტში მარკების მიხედვით არ ხდებოდა ამოღებული ქვანახშირის დახარისხება. შახტს ქვანახშირის ნაცრიანობის ლიმიტის დარღვევისათვის ყოველთვიურად აჯარიმებდნენ.

შახტის ინჟინერი ამხ. ი. შალიბაშვილი სერიოზულად დაფიქრდა, თუ როგორ მიეღწია ქვანახშირის დახარისხებისა და კარგად გარჩევისათვის. შალიბაშვილმა ტრესტის ინჟინრებთან ა. ზაზულიასთან და ი. კრივოშეევთან ერთად გამოიმუშავა რაციონალური წინადადება სარჩევი ბუნკერების თავზე ქვანახშირის გამცხრილავი მოწყობილობის დადგმის შესახებ. წინადადება განახორციელეს. ახლა ქვანახშირი ოთხ ჯგუფად ხარისხდება. დაბალხარისხოვანი ქვანახშირი თითქმის სულ აღარ ამოაქვთ შახტიდან. ამასთან ერთად გაცხრილულ ქვანახშირს ადვილად და კარგად არჩევენ მრჩეველთა ბრიგადები შურა სტეპანენკოს, მარიამ დობრინინას და ელენე სატაროვას ხელმძღვანელობით.

საკავშირო სოცშეჯიბრებაში ჩაბმული შახტის კოლექტივის ენერგიულმა მუშაობამ კარგი ნაყოფი გამოიღო. ქვანახშირის ნაცრიანობა შემცირებულია 33-34 პროცენტამდე. ამის შედეგად შახტი ხშირად პრემიებს ღებულობს.

შახტის კოლექტივმა დიდი სტალინის მოხსენებისა და ბრძანების პასუხად კიდევ უფრო გააძლიერა ბრძოლა იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირი მიაწოდოს ჩვენს ქვეყანას, ფრონტს.

**დ. საბელაშვილი**

## მოწინავე ადამიანების სიტყვა და საქმე

კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მოწინავენი ამხანაგ სტალინის მოხსენებას მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს საზეიმო სხდომაზე. მათ იკისრეს ახალი საწარმოო ვალდებულებანი და პირველ დღეებიდანვე პირნათლად ასრულებენ ამ ვალდებულებებს.

თბილისის ლენინის სახელობის რაისაბჭოს დეპუტატი, სამჭედლო საამქროს ზეინკალი ამხ. ცაგურაშვილი ახლა 475 პროცენტით ასრულებს ნორმას. ამავე საამქროს ზეინკალმა სტახანოველმა ამხ. ზიბროვმა 6 ნოემბერს 600 პროცენტით შეასრულა ნორმა. მან იკისრა ვალდებულება განამტკიცოს მიღწეული წარმატებანი. თავის ვალდებულებას სამშობლოს პატრიოტი პირნათლად ასრულებს. მის მაგალითს ბაძავს ზეინკალი ამხ. სტეპანოვი, რომელიც სისტემატურად 737 პროცენტით ასრულებს ნორმას. ხარატი ორდენოსანი ამხ. ბაჯალია ცვლაში ნორმის 392 პროცენტს იძლევა ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 300 პროცენტისა.

ასეთსავე წარმატებებს მიაღწიეს მჭედლებმა ორდენოსანმა ილურიძემ, სტახანოველებმა —მბურღავმა ქალმა კაკულიამ, ზეინკალმა [illegible]ბაშვილმა, ხარატმა ქსოვრელმა და სხვ. (საქინფორმი).

## წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა თბილისის ელექტროდეპო

ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის ელექტროფიკაციის განყოფილებამ შეაჯამა წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. გამარჯვებული გამოვიდა თბილისის ელექტროდეპო, რომელმაც წარმატებით შეასრულა სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი პირობები.

მეორე ადგილი დაიკავა ბაქოს ელექტროდეპომ.

ელექტრომავალის ახალგაზრდა მემანქანეს ამხ. მსხილაძეს გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა.

დიდ წარმატებებს მიაღწიეს წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში თბილისის ელექტროდეპოს ელექტრო-სამანქანო და სამწეო საამქროებმა, რომლებმაც სტახანოვური მუშაობით უზრუნველჰყვეს დეპოს მომზადება ზამთრისათვის. აქ შრომის დისციპლინის შესანიშნავი ნიმუშები გვიჩვენეს სტახანოველებმა ამხ. მინაკოვმა, ბიკოვსკიმ, გიგოლაშვილმა და სხვებმა, რომლებმაც თავიანთი ნორმების შესრულება 500-600 პროცენტამდე აიყვანეს. მერემონტეთა და მემანქანეთა შეთანხმებული, შეწყობილი მუშაობის შედეგად, დეპომ გზის საწარმოთა შორის პირველმა მიიღო ზამთრისათვის მზადყოფნის პასპორტი. (საქინფორმი).

## რკინიგზელები იყენებენ ადგილობრივ რესურსებს

**ზესტაფონი** („კომუნისტის" საკ. კორ.). ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის ზესტაფონის სადგურის კოლექტივი (უფროსი ი. მეტრეველი) ზამთრისათვის მზადებაში ფართოდ იყენებს ადგილობრივ რესურსებს. წელს სადგურის კოლექტივმა 13 ტონა ქვანახშირი დაზოგა. სადგურს წელს არ მიუღია საწმენდი ზეთი, „პაკლი", სასიგნალო მოწყობილობანი. გადაწყვეტილია, რომ ზამთარშიც საკუთარი რეზერვებით იმუშაონ.

კარგი ინიციატივა გამოიჩინეს მეისრეებმა ამხ. ქ. გოცაძემ, ა. ლონლაძემ და პ. ნებიერიძემ. მათ ზამთრისათვის სრულიად უსასყიდლოდ ადგილობრივი რესურსებით დაამზადეს და მოიტანეს 500 ცოცხი, 28 ხის ნიჩაფი, 30 ნიჩფისა და წერაქვის ტარი. მათვე საკუთარი საშუალებით მიმდინარე რემონტი გაუკეთეს 3 საისრე ჯიხურს.

ამ ინიციატივას მიჰბაძეს ლიანდაგის საოსტატოს მუშაკებმა. მათ საკუთარი საშუალებებით დაამზადეს 300 ნიჩაფი, 100 ცოცხი, 30 რკინის ნიჩაფი, 20 წერაქვი.

ზესტაფონელმა რკინიგზელებმა ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენების და ბრძანების პასუხად აიღეს ვალდებულება ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ ზამთარს და კიდევ უფრო გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობის ხარისხი.

## ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით

**მოქმედი არმია**, 12 ნოემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ნაწილები განაგრძობენ აქტიურ საბრძოლო მოქმედებას.

გერმანელებმა სცადეს იერიში მოეტანათ ერთ ჩვენს ნაწილზე, რომელიც მნიშვნელოვანი პუნქტის მისადგომებს იცავს. გაძლიერებული საარტილერიო მომზადების შემდეგ ჩვენი პოზიციების წინააღმდეგ იერიშზე გადმოვიდა მტრის ორი ბატალიონი ქვეითი ჯარი 50 ტანკის საფარქვეშ. ჰიტლერელები მაგარ წინააღმდეგობას წააწყდნენ და უკუიქცნენ საწყის მიჯნაზე.

მაგრამ ფაშისტებმა, პირველი დარტყმის შემდეგ გონს რომ მოეიდნენ, მალე განაახლეს იერიში. მტრის იერიში ამჯერადაც მარცხით დამთავრდა. ჩვენმა ქვეითებმა, არტილერისტებთან და ნაღმმტყორცნელებთან თანამოქმედებით, გრიგალისებრი სროლა აუტეხეს ფაშისტებს. გერმანელებმა მრავალი მოკლული და 2 ტანკი დაჰკარგეს და უკან დაიხიეს. სხვა უბანზე ჩვენმა ნაწილებმა დასძლიეს მტრის წინააღმდეგობა და განდევნეს იგი ორი დასახლებული პუნქტიდან.

სამი დღის ბრძოლის განმავლობაში, ი-დან 9 ნოემბრამდე, სრულიადაც არასრული ცნობებით, მარტო ერთ უბანზე, რომელსაც ორი ჩვენი შენაერთი იცავს, ჩვენმა ჯარებმა მოსპეს 1.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დასწვეს და დააზიანეს ათობით ტანკი, 22 ჯავშნიანი მანქანა, დაამსხვრიეს 18 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი. გარდა ამისა, ჩვენებმა ხელთ იგდეს მტრის რამდენიმე დაუზიანებელი ტანკი, 3 ჯავშნიანი მანქანა, 8 ქვემეხი, 5 ავტომანქანა, 43 ავტომატი, 3 დიდი ყალიბის ტყვიამფრქვევი.

**გ. ოშაროვსკი**

## ფაშისტების პროვოკაცია ჩაიფუშა

**მოქმედი არმია**, 12 ნოემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). გათენებისას გერმანელებმა არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ძლიერი სროლა აუტეხეს ერთ-ერთი ჩვენი ნაწილის პოზიციებს. საბჭოთა მებრძოლებმა გადასწყვიტეს, მტერმა რაღაცა განიზრახაო, და გააორკეცეს სიფხიზლე. ნახევარი საათის საარტილერიო მომზადების შემდეგ რამდენიმე ასეული ფაშისტი იერიშზე გადმოვიდა. წითელარმიელები მზად იყვნენ შეხვედროდნენ მტერს. როცა გერმანელები ჩვენს პოზიციებს მოუახლოვდნენ, მებრძოლებმა დაინახეს, რომ ფაშისტებს წითელარმიელის ფორმა ეცვათ.

— საზიზღარ პროვოკატორებს ცეცხლი!— გაისმა მეთაურის ბრძანება. მებრძოლებმა ფაშისტებს ყველა გვარეობის იარაღის შეწყობილი ცეცხლი დაუშინეს. 153 გერმანელი გაჟლიტა ოცეულმა, რომელსაც უმცროსი ლეიტენანტი ბიჩკოვი მეთაურობს.

გერმანელთა იერიში ჩაიფუშა. საერთოდ წითელარმიელებმა 300-მდე ფაშისტი დახოცეს. წამოყვანილმა ტყვეებმა განაცხადეს, რომ მას შემდეგ, რაც გერმანელებს წითელარმიელის ფორმა ჩააცვეს, მათ არაყი დაალევინეს და სავსებით მთვრალნი გამორეკეს ბრძოლაში.

**გ. კრილოვი**

## პარტიზანთა კრებაზე

**მოქმედი არმია**, 12 ნოემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). პატარა ოთახში პარტიზანები შეკრებილან. ისინი აქ სხვადასხვა ადგილიდან მოვიდნენ მხოლოდ მათთვის ცნობილი ბილიკებით. სიწყნარე იყო. მხოლოდ წამკითხველის ხმა ისმოდა. პარტიზანები ისმენდნენ ამხანაგ სტალინის მოხსენებას ოქტომბრის რევოლუციის 25 წლისთავის შესახებ. თვალის მგზნებარე ბრწყინვალება, მღელვარე სახეები მოწმობდნენ, თუ რა მახლობელი იყო თითოეულისათვის ბელადის მარტივი და ბრძნული სიტყვები.

რაზმის მეთაურმა სთქვა:

— ჩვენ ღრმად გავიტანთ ხალხში სტალინის სიტყვას. აღსდგებიან პარტიზანთა ახალი რაზმები. დღესასწაულისათვის ჩვენ დიდი საქმე გავაკეთეთ — შევასრულეთ სპეციალური დავალება: ავაფეთქეთ 15 ავტომანქანა საომარ მასალიანად, მოვსპეთ ორი მსუბუქი ავტომობილი ოფიცრებიანად. ჩვენ ერთი ნატვრით ვსულდგმულობთ — რაც შეიძლება მალე გავჟლიტოთ ყველა ფაშისტი ოკუპანტი.

**ვ. შილკინი**

# ლენინგრადის ფრონტის ადამიანები

ქალი, რომელიც პურზე გაგზავნილ თავის ცხრა წლის ვაჟს ეძებს, ლენინგრადელია. მილიციონერიც კუთხეში ლენინგრადელია. თქვენი კორესპონდენტიც ლენინგრადელია. ყველა ადამიანი ქუჩაში, სადაც ეს-ეს არის ყუმბარამ იგრიალა, ლენინის ქალაქის მცხოვრებია, რომელთაც კარგად ესმით ერთმანეთისა. ყურში კიდევ ისმის დამსხვრეული მინების ზრიალი, შავი მტვერი კიდევ ეფინება ასფალტს, ქალი კი ამბობს:

— ჯავშნიანი მატარებლიდან ურტყამენ. კარგი იქნებოდა, რომ არტილერისტები მიაგნებდნენ.

— მიაგნებენ, — უპასუხებს მილიციონერი, —მაკეევიჩი კი ზემოდან დაუმატებს. შეიძლება წასვლა, მოქალაქევ. ხომ გესმით, უკვე ორ უბანს იქით სკდება.

და ყველანი ჩვენ, რომლებიც შემთხვევით გავილაპარაკეთ ერთმანეთს ერთ ჭიშკარში, მივდივართ ქუჩაში და ყველამ ვიცით, ვინ დაიწყებს ახლა მტრის ბატარეების ჩახშობას.

გვარდიის პოლკმა სახელი გაითქვა ბატარეის საწინააღმდეგო თავისი ბრძოლით. ღამის იერიშთა ოსტატი, მფრინავი-გამანადგურებელი მაიორი მაკეევიჩი ცნობილია მთელი ლენინგრადისათვის.

ყოველი ლენინგრადელი ჩამოგითვლით იმ მფრინავთა ათობით სახელს, რომლებიც ყოველი ჩვენგანის ძმები გახდნენ. ჩირკოვი, ჟიდოვი, გლოტოვი, პიდტიკანი, პილოტოვი... ჰკითხეთ აი იმ მოსწავლეს—ის გაუხეშებულ ხელისგულზე თითებით ჩამოგითვლის. პოკრიშევი, ნესტრუევი, ხარიტონოვი... და კიდევ ნოვიკოვი, კარპოვი... მარტო ამ ათმა მფრინავმა ინდივიდუალურ ბრძოლებში მტრის 150-ზე მეტი თვითმფრინავი ჩამოაგდო.

ლენინგრადის დამცველებმა სახელი გაითქვეს მთელს მსოფლიოში. აქ ჩაიდინეს თავიანთი საგმირო საქმეები ტარანული დარტყმის პიონერებმა, საბჭოთა კავშირის გმირებმა ხარიტონოვმა, ზდოროვცევმა, ტოტმინმა. აქ, გერმანელთა ზურგში გაფრენისას, საზენიტო ზარბაზნებით ცეცხლმოდებული ბომბდამშენი საბჭოთა კავშირის გმირების ჩოჩნიხის კოსინოვის და გუბინისა, რომლის ეკიპაჟმაც არ ისურვა პარაშუტებით გადარჩენა, მტრის დიდ ავტოკოლონაში შეიჭრა. აქ პილოტოვმა მარტომ მიიტანა იერიში ექვს „ჰაინკელზე" და ორი მათგანი ჩამოაგდო. იგივე, მატვეევსა და ჩირკოვთან ერთად, ფაშისტთა თერამეტ თვითმფრინავს ეკვეთა, სამი მათგანი ჩამოაგდო და ამხანაგებიანად უვნებლად დაბრუნდა აეროდრომზე. აქ ხუთი ლენინგრადელი—ტატარჩუკი, გორბაჩევი, ობირალოვი, ბრატუშკო, უსტინოვი—ბრძოლაში ჩაება მტრის 70 თვითმფრინავთან და კიდეც გაიმარჯვა.

მაშ როგორ შეიძლება არ ვიცოდეთ მათი სახელები? ყოველი მეეზოვე, ყოველი სახლთმმართველი, რომელიც თავის სახლს-სიმაგრეს ზამთრისათვის ამზადებს, ლენინგრადის ფრონტის მებრძოლად სთვლის თავს. ყოველი ცისახლისი ამაყობს თავისი მონაწილეობით ქალაქის დაცვაში და ამიტომ იმათი სახელები, ვისი თავდადებიდანაც ისინი მაგალითს იღებენ, მათთვის მშობლიური სახელებია.

ყოველი გვარეობის იარაღი ყოველდღე გვაძლევს თავიანთ გმირებს. ზაფხულშიც და შემოდგომაზეც გერმანელები ცდილობდნენ დაებომბათ ჩვენი ქალაქი—მათ ეს ვერ მოახერხეს, იმიტომ რომ ყველა ჩვენი მეზენიტე მაგალითს პეტრუშინისგან იღებდა: მისი ბატარეა შეუმცდარად ურტყამდა პირდაპირი დამიზნებით მტრის მოპიკირე თვითმფრინავებს.

ძველი პიტერელი მუშა, რომელიც თავისი ტყვიამფრქვევის ცეცხლით სცელავდა იუდენიჩის ბანდებს, პეტრე გრიგოლის-ძე გრიგორიევი კვლავ უშენს მტერს თავის ტყვიამფრქვევს. მან უკვე 200 გერმანელი მოსპო. მისი ვაჟი და ქალი მამისგან იღებენ მაგალითს და ჰიტლერელებს ებრძვიან ლენინგრადის კედლებთან. ათასობით ჩვენი ქალიშვილი ჰბაძავს სანინსტრუქტორ ნადეჟდა ეფიმოვას, რომელმაც ბრძოლის ველიდან ასზე მეტი დაჭრილი გამოიყვანა იარაღიანად.

ლენინგრადზე გერმანელთა შემოტევის პირველი დღეებიდან აქამომდე ჩვენი მეომრები ყოველდღე სჩადიან სასწაულებრივ, სამხედრო ისტორიაში უმაგალითო საგმირო საქმეებს. როდესაც მტრის 43 ტანკი კინაღამ გამოიჭრა ლენინგრადისაკენ, მათ შესახვედრად გავიდა ჩვენი ერთი ტანკი. ეს იყო კოლობანოვის „კვ"-ზე. მარტო მან დააზიანა 23 ტანკი 43-დან. დანარჩენი 20 ტანკი მის მისაშველებლად მისულმა სხვა ტანკისტებმა გაანადგურეს. განა საჭიროა კიდევ რაიმე დავუმატოთ ამ მართლაც ლეგენდარული საგმირო საქმის უკვდავობის დასამტკიცებლად? ანდა აი ამას წინათ რა მოხდა. პირდაპირი მოხვედრით დამსხვრეულ იქნა იმ „კვ"-ს კოშკურა, რომელიც გერმანელთა თავდაცვის წინა კიდეზე შეიჭრა. ცოცხალნი დარჩნენ მხოლოდ მექანიკოსი-წამყვანი, უფროსი სერჟანტი ზვერევი და რადისტი ბოროვსკი. ტანკს ცეცხლი მოედო. ცეცხლი მისწვდა საომარ მასალებს. ზვერევმა ბოროვსკი გაგზავნა მაშველთა მოსაყვანად. მაგრამ აფეთქებას შეეძლო ყოველ წუთს გაენადგურებინა ტანკი და ზვერევმა სარკმელები დაგმანა და ამნაირად შეამცირა წევა. იგი ცეცხლმოდებულ მანქანაში დარჩა, ტანკი აამოძრავა და მთელი სიჩქარით გამოიყვანა ჩვენი ნაწილების განლაგებაში. იგი უკვე ტანისამოსზე ცეცხლმოდებული გამოგორდა ტანკიდან და დაიძახა: „ბიჭებო, იქ საომარი მასალებია!" და ჩვენმა მებრძოლებმა „კვ" ქვიშით ჩააქრეს. იგი, ზვერევი, ცოცხალი და ჯანმრთელია ამჟამად, დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და კვლავ ანადგურებს მტერს.

ჩვენ გვინდა, რომ ყველა გერმანელი ქალაქის კედლების წინ დაეცეს. და ჩვენმა მებრძოლებმა იციან, თუ როგორ უნდა გააკეთონ ეს. ასეთი ცოდნის მამამთავარმა ფეოდოსი არტემის-ძე სმოლიაჩკოვმა, საბჭოთა კავშირის გმირმა, თავისი ოსტატობა ასწავლა ათობით ამხანაგს, რომელთაგან თითოეულმა უკვე მოსპო 150-200 ჰიტლერელი. თვით სმოლიაჩკოვმა მის მიერ მოკლულ 125 გერმანელზე სწორედ 126 ვაზნა დახარჯა.

ორგზის ორდენოსანმა სნაიპერმა უფროსმა სერჟანტმა ივანე დობრიკმა 300-ზე მეტი ფაშისტი გასწყვიტა. ორგზის ორდენოსანმა სნაიპერმა უფროსმა სერჟანტმა გრიგოლ სიმანჩუკმა—200-ზე მეტი. სმოლიაჩკოვს გარდა, კიდევ 7 სნაიპერს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება: პჩელინცევს, გოლიჩენკოს, ვეძლოვცევს, კალინინს, კოზლოვს, ლოსკუტოვს, სინიავინს.

ქალაქის კედლებთან ლენინგრადელებთან ერთად იბრძვიან ჩვენი სამშობლოს ყველა ეროვნების წარმომადგენლები. იბრძვის აფხაზი უმცროსი ლეიტენანტი მიხა ცუშბა, რომელმაც 100-ზე მეტი გერმანელი დახოცა და რომელსაც სამი ათეული მოწაფე ჰყავს. იბრძვის 33 იერიშის მონაწილე უზბეკი ტეშაბოი ადილოვი, რომელმაც 100-ზე მეტი გერმანელი გასწყვიტა, და მეორე უზბეკი უმცროსი ლეიტენანტი ზიუფარ იუსუპოვი, რომელმაც 119 გერმანელი მოსპო. იბრძვის ყაზახი უფროსი სერჟანტი ჟუსანბაი შინიბეკოვი, რომელმაც თავისი სნაიპერული შაშხანით 68 გერმანელი მოჰკლა და ასეულის ნაღმსატყორცნით — 97, და მრავალი სხვა გმირი — თათრები, უკრაინელები, ქართველები, ტაჯიკები — ლენინგრადის დამცველთა ერთიანი ოჯახი. არც ერთი მათგანი არასოდეს არ დაიხევს უკან მტრის წინაშე. ისინი ყველანი არარად აგდებენ სიკვდილს.

ჟავორონკოვი, მარტინენკო, სუხანოვი და ლაპუტინი თავიანთი სხეულით ჰფარავენ მტრის საცეცხლე წერტების სათოფურებს. ეს-ეს არის მომხდარ ბრძოლებში რადისტები სპრინცონი, ტოუტოვი, ბუბნოვი და ლიუკაიტისი, იზოლირებულნი აღმოჩნდნენ რა მტრის განლაგებაში, სროლას აკორექტებდნენ და ჩვენი ბატარეების გრიგალისებური ცეცხლი თავისკენ მიიზიდეს. მებრძოლი დანილჩენკო, როცა მისი თანამგზავრი მეკავშირენი მოკლულ იქნენ, მას კი ყუმბარამ ორივე ფეხი მოსწყვიტა, კავშირგაბმულობის ხაზამდე მიცოცდა და უკანასკნელი სიკვდილისპირა მეცადინეობით კაბელი შეაერთა. სნაიპერმა უფროსმა სერჟანტმა პილიუშკინმა, რომელმაც ბრძოლაში მარჯვენა თვალი დაჰკარგა, დაჟინებით მოითხოვა, ნაწილში დამაბრუნეთო, და, ისწავლა რა მარცხენა ბეჭიდან სროლა ისე, რომ 100 მეტრზე ორშაურიანს ახვედრებს, კვლავ ჟლეტს ფაშისტებს. მრავალი ბრძოლის მონაწილე სნაიპერს ოლღა მაკოვეისკაიას ტყვიამ გაუხვრიტა კომკავშირული ბილეთი, და მკერდში გაუარა ერთ სანტიმეტრზე გულთან. შეუდრეკელი ქალიშვილი გაჯანსაღების შემდეგ თავის ნაწილში ბრუნდება. ბრძოლებში სამჯერ დაჭრილმა საზღვაო ქვეითი ჯარის უფროსმა ლეიტენანტმა თევდორე ზაიცევმა იერიშის მომენტში გერმანელთა თავდაცვის წინა კიდეზე აღმოაჩინა ახალი „მხტუნავი" შრაპნელის ნაღმები და გადასწყვიტა მათი ნიმუშების შესწავლა. სროლაში მან მოხსნა რამდენიმე ნაღმი, ლიხებზე მიიბა ისინი და პლასტუნურად გამოცოცდა თავის ასეულში.

ასეთები არიან ლენინგრადის ფრონტის ადამიანები. ლენინის ქალაქის გმირთა სახელებს ვერ ჩამოსთვლი.

**პავლე ლუკნიცკი,**

საკდესის სპეცკორესპონდენტი

ლენინგრადის ფრონტი.



მოქმედი არმია. სტალინგრადის რაიონში ტყვედ წამოყვანილ გერმანელ, იტალიელ და რუმინელ ოფიცერთა და უნტერ-ოფიცერთა ჯგუფი.

ფოტო გ. კაპუსტასი (საკდესის ფოტოქრონიკა).

# საბჭოთა კავშირ-ამერიკის მეგობრობისადმი მიძღვნილი ყრილობა ნიუ-იორკში

**ნიუ-იორკი**, 9 ნოემბერი (საკდესი). 7 და 8 ნოემბერს ნიუ-იორკში, მედისონ-სკვერ გარდენის დარბაზში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მეგობრობისადმი მიძღვნილი ყრილობა. ყრილობას დაესწრო 2.000 დელეგატი—ამერიკის საზოგადოებრივი, პროფკავშირული, სამეცნიერო და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. ყრილობა დამთავრდა მიტინგით, რომელსაც 20 ათასი კაცი დაესწრო. მრავალი ათასი ადამიანი, რომლებიც დარბაზში ვერ მოხვდნენ, ქუჩებში ისმენდა ორატორთა სიტყვების რადიოთი გადაცემას. ყრილობას თავმჯდომარეობდა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი საბჭოთა კავშირში დევისი. ყრილობას დაესწრნენ: ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი უოლესი, სსრ კავშირის ელჩი ლიტვინოვი, ამერიკის არმიის სახმელეთო ძალების სარდალი გენერალი მაკნეიერი, ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი ლემანი, ნიუ-იორკის მერი ლა გარდია, ცნობილი ფინანსისტი მოღვაწე ტომას ლამონტი, სენატორი პეპერი, ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარე გრინი, საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის წარმომადგენელი ტომასი და სხვ. ყრილობამ მიიღო მისალმებანი პრეზიდენტ რუზველტისაგან, გენერალ ეიზენჰაუერისაგან და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა თვალსაჩინო მოღვაწეებისაგან.

ყრილობამ განიხილა ომში და მშვიდობიანობის დროს ამერიკა-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის საკითხები. მთელი რიგი დელეგატების გამოსვლებში დიდი ყურადღება დაეთმო სსრ კავშირის 25 წლის მიღწევებს მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვის, ქალთა და ბავშვთა მდგომარეობის, კულტურის, თავდაცვის, სამხედრო წარმოებისა და პროფკავშირული მოძრაობის დარგში.

ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა უოლესმა სიტყვა წარმოსთქვა მიტინგზე. შეეხო რა ჩრდილოეთ აფრიკაში მომხდარ ამბებს, უოლესმა განაცხადა, რომ „ხმელთაშუა ზღვის დაპყრობა გაალებს გერმანიის უკანა კარს და შექმნის სამხრეთ რუსეთის მომარაგების უმოკლეს მარშრუტს".

ხაზგასმით აღნიშნა რა ყრილობის დიდი მნიშვნელობა, უოლესმა განაგრძო: ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ყრილობაზე ჩამოვიდნენ ამერიკელები იმისათვის, რომ სათანადო მიუზღონ რუს მოკავშირეს. რუსეთის მთელი ისტორიის მანძილზე არ ყოფილა ვაჟკაცობის და მსხვერპლისათვის მზადყოფნის იმაზე უფრო საოცარი მაგალითი, ვიდრე ის მაგალითია, რომელსაც რუსეთი ამჟამად გვიჩვენებს. ეს ყრილობა,—სთქვა შემდეგ უოლესმა,—აშკარავებს ამერიკელი ხალხის სურვილს და მტკიცე გადაწყვეტილებას—დაეხმაროს რუსეთს და დაეხმაროს მას დღესვე. როგორც ცნობილია, პრეზიდენტმა რუზველტმა უბრძანა სამხედრო და საზღვაო სამინისტროს და ყველა სამხედრო დაწესებულებას—პირველ რიგში აღმოუჩინონ რუსეთს დახმარება. ამერიკელი ხალხი მტკიცედ უჭერს მხარს პრეზიდენტის გადაწყვეტილებას—ყოველგვარი დახმარება გაეწიოს რუსეთს. უოლესი განსაკუთრებით შეჩერდა სსრ კავშირის ეროვნულ პოლიტიკაზე და აღნიშნა, რომ სსრ კავშირში განხორციელებულია რასებისა და ერების სრული თანასწორუფლებიანობა.

უოლესმა განაცხადა: გერმანელი „დამპყრობლებისადმი სსრ კავშირის წარმატებითი წინააღმდეგობის ერთ-ერთ მიზეზად მიმაჩნია ის, რომ „განათლების დარგში სტალინი მთელი ძალით ახორციელებდა დემოკრატიას". ლენინმა და სტალინმა,—სთქვა უოლესმა,—რუს ხალხს მისცეს შესაძლებლობა მოეკლა ცოდნის საუკუნეობრივი წყურვილი, და 20 წლის განმავლობაში რუსეთი წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის ერად გადაიქცა. „რუსეთს რომ შესძლებოდა კიდევ 20 წლის განმავლობაში განეგრძო თავისი წარმატებანი, რომლებსაც მან უკანასკნელი 20 წლის მანძილზე მიაღწია, იგი ამერიკის შეერთებულ შტატებს გაუსწრებდა".

ხაზგასმით აღნიშნა რა ის საერთო ინტერესები, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებენ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს მათს ახლანდელ ბრძოლაში ფაშისტური ბარბაროსობის წინააღმდეგ, უოლესმა დასასრულ განაცხადა, რომ ორივე ხალხი არა თუ ბოლომდე იბრძოლებს ფაშისტური აგრესიის საფრთხის მოსასპობად, რაც მსოფლიოს თავს დასტრიალებს, არამედ ამასთან ერთად ისინი „მთელ თავიანთ გავლენას გამოიყენებენ ახალი დემოკრატიის შესაქმნელად, რომელიც მთელი მსოფლიოს იმედი იქნება".

ყრილობაზე სიტყვა წარმოსთქვა სსრ კავშირის ელჩმა ამხ. ლიტვინოვმა, რომელმაც განაცხადა: „ამერიკელი ხალხი დღეს სათანადოს მიუზღავს და აღტაცებულია სტალინგრადის დამცველებით, რომელთაც უბადლო გმირობისა და სიმტკიცის მაგალითი უჩვენეს მთელ მსოფლიოს. სათანადოს მიუზღავს რა წითელ არმიასა და საბჭოთა ხალხს, არავის არ შეუძლია არ აღიაროს საბედისწერო შეცდომა, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ საბჭოთა კავშირს უგულებელჰყოფდნენ, როგორც მშვიდობიანობის მძლავრ ფაქტორს. ეს შეცდომა, უეჭველია, არის ერთ-ერთი მიზეზი ახლანდელი ომისა, რომელმაც მართომ უკვე მეტი ტანჯვა და გაჭირვება, მეტი ნგრევა მოუტანა კაცობრიობას, ვიდრე წინა საუკუნის ყველა ომმა, მათ შორის ნაპოლეონის ომებმაც.

ჰიტლერმა გერმანიის რევანშის იდეა გადააქცია ფაშისტური მსოფლიო უპირატესობის იდეად. რომელიც ემყარება მისწრაფებას, რომ ორ ბანაკად გაჰყოს დიდი სახელმწიფოები და იზოლაცია უყოს საბჭოთა კავშირს. დიდი სახელმწიფოების გულწრფელი, მჭიდრო თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან მოსპობდა ჰიტლერიზმის არსებობის აზრს, ჩაშლიდა აგრესიული ქვეყნების მთელ ვარაუდს. შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ დღეისათვის და მომავლისათვის მიღებულია გაკვეთილები და აღიარებულია წარსულის ეს შეცდომა. საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების მეგობრობა ემყარება სრულ ურთიერთგაგებას, ნდობასა და პატივისცემას და მას თვალსაჩინო ადგილი უნდა ეკავოს გაერთიანებული ქვეყნების თანამშრომლობის სისტემაში, თანამშრომლობისა, რომელიც ნაკარნახევია იმ საერთო მისწრაფებით, რომ ომი მიყვანილ იქნას ძლევამოსილ ბოლომდე და რომელიც საჭიროა ვრცელ ომისშემდგომ პრობლემათა გადასაწყვეტად".

ყრილობაზე სიტყვა წარმოსთქვა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა ელჩმა სსრ კავშირში დევისმა, რომელმაც განაცხადა: „ფრიად ღირსშესანიშნავია, რომ დღეს სხვადასხვა სარწმუნოების, სხვადასხვა ეროვნებისა და სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის ათასობით ამერიკელი აღტაცებულია საბჭოთა კავშირით. დიდება წითელი არმიის უბადლო გულადობასა და მამაცურ საგმირო საქმეებს! დიდება დიდი საბჭოთა ხალხის სიმტკიცეს! დიდება საბჭოთა კავშირის ბელადებს, რომელთა შორსმჭვრეტელობამ და სიბრძნემ შეაჩერა ბანდიტი აგრესორების შემოტევა!"

ყრილობაზე სიტყვა წარმოსთქვეს აგრეთვე სენატორმა პეპერმა, ცნობილმა ფინანსისტმა მოღვაწემ ტომას ლამონტმა, ამერიკის არმიის სახმელეთო ძალების სარდალმა გენერალმა მაკნეიერმა, ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარემ გრინმა, საავტომობილო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის თავმჯდომარემ ტომასმა, ფილოსოფიის პროფესორმა მაკმაგონმა, ნიუ-იორკის მერმა ლა გარდიამ და სხვ.

მასობრივმა მიტინგმა, რომლითაც დამთავრდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მეგობრობის ყრილობა, მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მიესალმება საბჭოთა ხალხს და მის ხელმძღვანელებს და პირობას სდებს იბრძოლოს ბრძოლის ველზე მანამდე, სანამ მოპოვებული არ იქნება გამარჯვება.

ყრილობამ ამხანაგ ლიტვინოვს ამხანაგ სტალინისათვის გადასაცემად ჩააბარა „ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის წიგნი", ხელმოწერილი მრავალი ათასი ამერიკელის მიერ, რომელნიც მადლობას უძღვნიან საბჭოთა კავშირს და ვალდებულებას კისრულობენ მთელი ძალ-ღონე მოახმარონ გაერთიანებული ქვეყნების გამარჯვებისათვის ბრძოლას და უზრუნველჰყონ თანამშრომლობა ომის შემდეგ.

# რუზველტის გამოსვლა პრეს-კონფერენციაზე

**ვაშინგტონი**, 10 ნოემბერი (საკდესი). რუზველტმა სიტყვა წარმოსთქვა პრეს-კონფერენციაზე და განაცხადა, ოპერაციები ჩრდილოეთ აფრიკაში, როგორც სჩანს, ხელსაყრელად ვითარდება. მაგრამ პრეზიდენტმა გააფრთხილა—ზედმეტ ენტუზიაზმს ნუ გამოიჩენთო. წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე ინგლისელთა ოპერაციები ეგვიპტესა და ლიბიაში.

რუზველტი შეეხო შეტევის დაწყების საკითხს და განაცხადა, ფაქტორები, რომლებიც წინათ ხელს უშლიდნენ დიდს შეტევას ჰიტლერის წინააღმდეგ, უკვე გავლენას აღარ ახდენენო.

რუზველტმა აღნიშნა: ვითარების შესწავლისამებრ გვეგონა, რომ შეუძლებელი იყო დიდი შეტევის დაწყება 1943 წლის ზაფხულამდე იმის გამო, რომ ფიზიკურად შეზღუდული იყო ზოგიერთი სახის საჭურვლის წარმოება, აგრეთვე იმის გამო, რომ შეზღუდული იყო ადამიანთა და მასალების გადაყვანა-გადაზიდვის შესაძლებლობა. ივნისის დამდეგს ინგლისისა და ამერიკის გენერალური შტაბების წარმომადგენელთა მოლაპარაკება უმთავრესად შეეხებოდა 1942 წელს უფრო მცირე ექსპედიციის და 1943 წელს უფრო დიდი შეტევის მოწყობის შესაძლებლობას. ივნისის დამლევს, საერთოდ, მიღწეულ იქნა შეთანხმება აფრიკაში შეტევის შესახებ. ივლისის დამლევს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა გადასწყვიტეს სხვადასხვა საკითხი ჯარების გადასხმის ადგილთა, ჯარების რიცხვობრივი შემადგენლობისა და ხასიათის შესახებ და აფრიკის ოპერაციების სხვა დეტალები. აგვისტოს დამლევს ინგლისელებმა და ამერიკელებმა ოპერაციების დაწყების დაახლოებითი თარიღი დაადგინეს. ამის შემდეგ მოგვიხდა დუმილი და კრიტიკის ატანა მაშინ, როდესაც არაინფორმირებული ადამიანები მეორე ფრონტის დაუყოვნებლივ გახსნას მოითხოვდნენ. შემდეგ რუზველტმა განაცხადა, ჯერ კიდევ მრავალი თვის წინათ მივედით იმ დასკვნამდე, რომ არც რუზველტს და არც ჩერჩილს არ შეეძლიათ შევიდნენ მაღაზიებში და იყიდონ მზა მეორე ფრონტი. საჭირო გახდა გადაგვეწყვიტა გამოსაყენებლად გათვალისწინებული მასალის, ოპერაციების სიდიდისა და ხასიათის საკითხი. შემდეგ კი უკვე ავველო ეს მასალა და წაგველო დახელოვნებულ მკვრავთან, რათა ზომის მიხედვით გამოგვეჭრა იგი. ასეთი ტანისამოსის დამზადებას მრავალი თვე დასჭირდა. საჭირო გახდა ხანგრძლივი მზადება იმისათვის, რომ უზრუნველგვეყო წარმატების საფუძვლიანი შესაძლებლობა. მთავრობამ უნდა იცოდეს თავისი საკუთარი რესურსები და უნდა გადასწყვიტოს, იძულებულია თუ არა იგი ხელი აიღოს ზოგიერთ მიზანზე იმისათვის, რომ სწრაფად მიაღწიოს სხვა მიზნებს. არც ერთ მთავრობას არ შეუძლია მაქსიმალური სისწრაფით მიაღწიოს ყველა მიზანს მთელ მსოფლიოში. მან უნდა მიიღოს ადამიანები და საჭურველი და განალაგოს ისინი იქ, სადაც მათ შეუძლიათ იომონ მტრის წინააღმდეგ. ეს გულდასმითს მომზადებას მოითხოვს.

უპასუხა რა კითხვაზე მოლოტოვის დარბაზობის როლის შესახებ, რუზველტმა განაცხადა: არ შემიძლია სამხედრო საიდუმლოებანი გავთქვა, მაგრამ ვფიქრობ, შემიძლია დავარწმუნო პრესა, რომ ჩვენი მთავარი მებრძოლი მოკავშირენი ინფორმირებულნი არიან ამ მოლაპარაკების მსვლელობის და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

კითხვაზე, წარმოადგენს თუ არა დიეპის რაიონში წარმოებული ოპერაცია ზემოხსენებული პროგრამის ნაწილსო, რუზველტმა განაცხადა, რომ დიეპში, ჩინეთში და სხვა ადგილებში მომხდარი ამბები დაკავშირებულია ამ გადაწყვეტილებებთან. პრეზიდენტმა დადებითი პასუხი გასცა კითხვაზე, მიღებული თუ არა გადაწყვეტილებანი ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ჩერჩილი მოსკოვს გაემგზავრებოდაო. რუზველტმა აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ჯარების გადასხმის ადგილისა და ოპერაციებისათვის განკუთვნილი შეიარაღებული ძალების ხასიათის შესახებ მიღებული იყო ოპერაციების დაწყების თარიღის დადგენამდე ერთი თვით ადრე მაინც.

შემდეგ რუზველტმა განაცხადა: მე გავუგზავნე მიმართვა მაროკოს სულთანს და ანალოგიური მიმართვები—ტუნისის ბეის, საფრანგეთის ტუნისის უმაღლეს კომისარს და საფრანგეთის ალჟირის გუბერნატორსო.

ერთ-ერთი კორესპონდენტი შეეკითხა, კიდევ არსებობს თუ არა ფიზიკური შეზღუდვანი, რომლებმაც წინათ აიძულეს რუზველტი მოეხდინა არჩევანი ამა წლის უფრო მცირე შეტევასა და შემდეგი წლის დიდ შეტევას შორისო. რუზველტმა უარყოფითი პასუხი გასცა. მან განაცხადა: აუცილებელი არ არის შეტევის პერსპექტივები ჩრდილოეთ აფრიკის ოპერაციებით შევზღუდოთო. ამჟამად ფიზიკური შეზღუდვები შემცირდა. მაგრამ,—აღნიშნა მან,—ახლა ყველაფერზე უკეთესია მთავარი ყურადღება ჩრდილოეთ აფრიკას მივაპყროთო.

რუზველტმა განაცხადა, რომ მომავალი წლის დამლევისათვის ამერიკის არმიის რიცხვობრივი შემადგენლობა, ახლანდელი 4,5 მილიონის ნაცვლად, ალბად, 7,5 მილიონ კაცს მიაღწევს. სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირად შემადგენლობაში, ალბად იქნება 1,5 მილიონი კაცი, ახლანდელი 1 მილიონის ნაცვლად, ხოლო საზღვაო ქვეითი ჯარის და სანაპირო დაცვის ჯარის რიცხვობრივი შემადგენლობა—700 ათასი, ნაცვლად 300 ათასისა. საჭიროა სათანადოდ გავადიდოთ საჭურვლის წარმოება და ამასთან დაკავშირებით მრეწველობაში ჩავაბათ 4 მილიონზე მეტი ახალი მუშაო.

## უკანასკნელი ცნობები

# ჩრდილოეთ აფრიკაში შესწყდა საომარი მოქმედება

**ლონდონი**, 11 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ჩრდილოეთ აფრიკაში 11 ნოემბერს 7 საათზე შესწყდა საომარი მოქმედება მოკავშირეთა ჯარებსა და საფრანგეთის ჯარებს შორის.

მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობის თანახმად, უკანასკნელი პუნქტი, სადაც მოკავშირეები წინააღმდეგობას წააწყდნენ, მაროკო იყო; აქ გენერალ-მაიორმა პატონმა ადმირალ მიშელიესთან თათბირის შემდეგ ბრძანება გასცა შეეწყვიტათ საომარი მოქმედება.

ალჟირში გენერალ ეიზენჰაუერის წარმომადგენელსა და ადმირალ დარლანს შორის თათბირის შემდეგ უკანასკნელმა ბრძანება გასცა საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკის შეიარაღებული ძალების ყველა სარდლისადმი, მათ შორის მაროკოს სარდლისადმი, საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ.




## გერმანიის ჯარები ლიონში შევიდნენ

**ჟენევა,** 11 ნოემბერი (საკდესი). დღეს დღისით გერმანიის ჯარები ლიონში შევიდნენ.

## გერმანიის ჯარები მარსელში შევიდნენ

**ჟენევა,** 12 ნოემბერი (საკდესი). როგორც ვიშში ოფიციალურად გამოცხადდა, გერმანიის ჯარები მარსელში შევიდნენ.

## ინგლისის შეტევა ეგვიპტეში

**ლონდონი,** 12 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ იმპერიის ჯავშანსატანკო ძალების პირველმა რაზმებმა უკვე მიაღწიეს ლიბია-ეგვიპტის საზღვარს და რამდენიმე ადგილას გადალახეს სასაზღვრო მავთულხლართები. მტრის ნაწილები განაგრძობენ უკანდახევას, უმთავრესად ხალფაიის ქლდეკარის რაიონში. წვიმის შეწყვეტა ხელს უწყობს შემდგომი ოპერაციების განვითარებას. ინგლისელთა ნაწილები მოწინააღმდეგისაგან სწმენდენ სიდი-ბარანის რაიონს.

**ლონდონი,** 12 ნოემბერი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ მე-8 არმია განაგრძობს მტრის ჯავშანსატანკო არმიის ნაშთების დევნას, რომელნიც კირენაიკაში იხევენ. წამოყვანილია ახალი ტყვეები. 10 ნოემბერს ღამით ინგლისის ბომბდამშენები თავს დაესხნენ ტობრუკს. გუშინ საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს მტრის 23 თვითმფრინავი. 10 ნოემბერს ტუნისის მახლობლად დაბომბილ იქნა მტრის აეროდრომი. საზენიტო ცეცხლი წაეკიდა სულ ცოტა 19 თვითმფრინავს, რომლებიც მიწაზე იყო, და მრავალი სხვა თვითმფრინავი დაზიანებულია. 10 ნოემბერს ღამით ინგლისის ავიაცია ხელახლა დაესხა თავს სარდინიის აეროდრომებს.

## ჰიტლერელები იმისათვის ემზადებიან, რომ დანია გერმანიის პროვინციად გადააქციონ

**სტოკჰოლმი,** 12 ნოემბერი (საკდესი). ჰიტლერელები სასწრაფოდ სპობენ დანიის დამოუკიდებლობის ნაშთებს და იმისათვის ემზადებიან, რომ დანია გერმანიის პროვინციად გადააქციონ. როგორც ვიცით, ჰიტლერმა გადააყენა ყოფილი თავისი მოადგილე დანიაში ფინკი და მის მაგივრად დანიშნა „უფრო გაბედული" გესტაპოელი ბესტი. კოპენჰაგენში ბესტის ჩასვლის შემდეგ გამოცხადდა დანიის მთავრობის გადადგომა. მთავრობის შედგენა დაევალა დანიის საგარეო საქმეთა მინისტრ ერიკ სკავენიუსს, რომელიც სულ ამ ცოტა ხნის წინათ დაბრუნდა ბერლინიდან. წინანდელი შემადგენლობიდან მთავრობაში მხოლოდ რამდენიმე მინისტრი დარჩა, რომელნიც განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენდნენ გერმანიის საოკუპაციო ხელისუფლებასთან „თანამშრომლობის" დამყარების საქმეში.

სკავენიუსი ჯერ კიდევ წარსული მსოფლიო ომიდანვე ცნობილია თავისი მჭიდრო კავშირით გერმანულ წრეებთან. შვედური გაზეთი „ვესტმანლანდსლენს ტიდნინგი" სწერს, რომ სწორედ ამიტომ „დანიელი ხალხი უაღრესი ეჭვიანობით ეპყრობა სკავენიუსს".

სკავენიუსმა უკვე გამოაქვეყნა მთავრობის დეკლარაცია, რომელშიც აცხადებს, რომ ბრძოლას დაიწყებს ყველა იმ დანიელის წინააღმდეგ, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ უკმაყოფილებას გამოსთქვამს ოკუპანტების მიმართ და რაიმე წინააღმდეგობას გაუწევს მათ.

## ღერძის სახელმწიფოთა წყალქვეშა ფლოტის ზარალი

**ლონდონი,** 11 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის საზღვაო მინისტრმა ალექსანდერმა თემთა პალატაში აღნიშნა, რომ ომის დასაწყისიდან ჩაძირული, დაზიანებული ან ხელში ჩაგდებულია ღერძის სახელმწიფოთა 570 წყალქვეშა ნავი.

## იტალიური ლირის კურსის დაცემა

**ლონდონი,** 11 ნოემბერი (საკდესი). როგორც გაზეთი „დეილი ექსპრესი" იუწყება, შვეიცარიის ბირჟებზე იტალიური ლირის კურსი დაეცა 7 შილინგიდან 4 შილინგ და 6 პენსამდე 100 ლირაში.

# ახალი წიგნები

**„სიტყვები და წერილები".** გამოვიდა გერონტი ქიქოძის წიგნი „სიტყვები და წერილები", რომელშიც მოთავსებულია სამამულო ომის პერიოდში გ. ქიქოძის მიერ გამოქვეყნებული წერილები და საბჭოთა ინტელიგენციისა და მწერლების შეკრებაზე წარმოთქმული სიტყვები: „ხალხთა მეგობრობის დროშა", „გარდატეხის მომენტი", „როსტოვის გამარჯვება", „ომის გაკვეთილები", „ომის პერსპექტივებზე". წიგნი ი. აბაშიძის რედაქტორობით გამოსცა „ფედერაციამ", შეიცავს 37 გვერდს და ღირს 2 მან. 20 კაპ.

**„სიმღერა როლანდზე".** გამოვიდა ფრანგული ეპოსის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუში „სიმღერა როლანდზე", რომელიც სთარგმნეს რ. გვეტაძემ, ხ. ვარდოშვილმა და ა. აბაშელმა. წიგნს დართული აქვს რედაქტორის ს. იორდანიშვილის წინასიტყვაობა და შენიშვნები. წიგნი გამოსცა „ფედერაციამ", შეიცავს 196 გვ. და ღირს 17 მან. 50 კაპ.

**„ბელადის დაძახილზე".** გამოვიდა გიორგი ქუჩიშვილის ლექსების კრებული „ბელადის დაძახილზე". წიგნში მოთავსებულია სამამულო ომის დღეებში დაწერილი 18 ლექსი. წიგნი, რომელიც გამოსცა „ფედერაციამ", შეიცავს 27 გვერდს და ღირს 3 მან. 80 კაპ.

**„პოემები".** „ფედერაციამ" გამოსცა რაჟდენ გვეტაძის პოემების კრებული, რომელშიაც მოთავსებულია „მერკვილაძის დები", „ოქროს ვერძი", „მოხაჯირები" და „ლელა". წიგნი შეიცავს 72 გვ. და ღირს 5 მან. 50 კაპ.

**„მოთხრობები".** „ფედერაციამ" გამოსცა სიმონ წვერავას მოთხრობების კრებული, რომელშიც მოთავსებულია 4 მოთხრობა პატრიოტულ თემაზე: „ზღვისპირული ქარი", „მოლაშქრენი", „საზღვარზე" და „მოხუცის გმირობა". წიგნი შეიცავს 58 გვ. და ღირს 4 მან.

**„უძლეველი ძალა".** გამოვიდა ანდრო ლომიძის მოთხრობების კრებული „უძლეველი ძალა", რომელშიც მოთავსებულია 8 მოთხრობა: „უძლეველი ძალა", „ერთად წავიდეთ", „მირზა", „სამშობლოსათვის", „შურისძიება", „სიმღერა სიყვარულისა", „ბრალდება" და „ნალები და ყვავილები". წიგნი გამოსცა „ფედერაციამ", შეიცავს 101 გვ. და ღირს 4 მან.

## პარტკალენდარი

**საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 3723011, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის მიერ ლილი ლუკას-ასულ **ხუნწარიას** სახელზე, და პარტბილეთი № 3721498, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის მიერ შალვა თადეოზის-ძე **მიქაძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1522825, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის მიერ სილოვან ნიკოლოზის-ძე **ესებუას** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

## თეატრებში

**14 ნოემბერს:** სახოპერა — „ტრავიატა". რუსთაველის სახელობის — „ოლეკო დუნდიჩ". მარჯანიშვილის სახელობის — „ინჟინერი სერგეევი". გრიბოედოვის სახელობის — „მაშენკა". სომხური თეატრი — „კინტო". ახუნდოვის სახელობის — „ოქტა ელ ოგლუ". მუსიკალური კომედიის — „ცისფერი კლდეები". მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი — „რომეო და ჯულიეტა". მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი — „გაუზრდელი". მოზარდ მაყურებელთა სომხური თეატრი — „ემანველ".

## წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო ყველა დაწესებულებას, მეგობრებსა და ნაცნობებს, რომლებმაც პირადად თუ წერილობით მიიღეს მონაწილეობა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, ძვირფას ალექსი ნიკოლოზის-ძე საჯაიას დაკრძალვაში და თანაგრძნობა გამოუცხადეს მის ოჯახს.

**ნინო ვასილის-ასული საჯაია**

## კინოებში

რუსთაველის სახ. — „ჰაბუკი ჩვენი ქალაქიდან", ოქტომბერი — „საბრძოლო კინოკრებული № 12", დამკვრელი — „ახალი ცხოვრებისაკენ", კომკავშირელი — „რუსლან და ლიუდმილა", სპარტაკი — „კორზინკინას თავგადასავალი". ლუქსემბურგის სახ. — „ვოლგა-ვოლგა", 26 კომ. სახ. — „აიგიულ", კომინტერნი — „საბრძოლო კინოკრებული № 11".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

**საქ. სსრ კომუნალური ბანკი აცხადებს ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის მსესხებელთა საყურადღებოდ,**

რომ უკეთუ ისინი არ შეიტანენ ხვედრ გადასახდელს დაწესებულ ვადაზე, ასეთები გადახდევინებული იქნება იძულებითი (უდავო) წესით—გადახდევინების მიქცევით ქონებაზე

ასეთივე ზომა მიღებული იქნება სახლთა კაპიტალური შეკეთების მსესხებელთა მიმართ იმ განსხვავებით, რომ გადახდევინებული იქნება არა მარტო ვადაგადაცილებული გადასახდელები, არამედ ვალის მთელი ნაშთი.

286

**საქ. სსრ კომბანკი**

სტალინის სახელობის რაისაბჭოს სოც. უზრუნველყოფის განყოფილება იუწყება პერსონალური პენსიონერის

**ივანე იოსების-ძე ჭანიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14/XI, 6 ს. ბრძოლის ქ. № 15, გამოსვენება 15/XI, 2 ს. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

1449

ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის თანამშრომლები იუწყებიან ამავე კომისარიატის თანამშრომლის ივანე ბერიძის ბიცოლას

**მარიამ დიმიტრის-ასულ ხეთაგუროვას**

გარდაცვალებას. გამოსვენება 13/XI, 3 ს. ჭიაღერის შესახ. № 5, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

1448

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი. ლენინის ქ. № 28.

უე 11037